ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 8 აპრილი, 2020 №82 (8346) ფასი: 60 თეთრი

პაატა იმნაძე: „ქვეყანაში არის კორონავირუსის შემთხვევები, რომლებიც არ ვიცით“

გვ.2

გია ხუხაშვილი: „ოცნების“ კისერთან დამოკლეს მახვილია აღმართული“

გვ.2

„ბევრი ადამიანი კორონავირუსსაც კი „ნაცქოცურ“ პრიზმაში განიხილავს... ხელისუფლება თუ ყველაფერს რეიტინგით საზღვრავს, ბრიყვია“

სერგი კაპანაძე: „ვისაც შემოსავალი შეუმცირდა, კომპენსაცია ბიუჯეტიდან უნდა მიეცეს“

„ველოდებით, ხელისუფლებამ პოლიტპატიმრებზე დაპირება 25 აპრილამდე უნდა შეასრულოს“

გვ.3

სოსო შატბერაშვილი: „მაღალი რეიტინგი გახარიას აქვს და არა „ოცნებას“

„არ გამოვრიცხავ, რომ ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში დაბრუნდეს“

გვ.3

გვ.4

გოგი წულაია: „ჩვენი პროდუქცია თუ არ გვექნა, შეიძლება შიმშილით დავიხოცოთ“

„კოვიდინფექციამ მორწმუნესაც და ათეისტსაც შეუტია და რა დროს ერთმანეთში ჩხუბია!“

გვ.2

თენგიზ ცერცვაძე: „ეჭიმეებმა შესაძლებელზე მეტი გააკეთეს“

საქართველოში კოვიდ 19-ით ინფიცირებული 86 წლის ქალი გარდაიცვალა

ვახტანგ ყოლბაია: „კორონავირუსის დამარცხების შემდეგაც მძიმე პერიოდი დადგება“

გვ.4

ISSN 1987-9385

2 7 აპრილიდან თბილისში ყველა აგრარული ბაზარი დაიკეტა

5 პოლიციამ იმერეთში ქურდული სამყაროს წევრობისა და ქურდულ შეკრებაში მონაწილეობის ბრალდებით 2 პირი დააკავა

5 შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 167 ფაქტი გამოავლინა

6 ლუკაშენკო: „კორონავირუსით ინფიცირებულებს მე თვითონ ვუმკურნალებ“

გია ხუხაშვილი: „ოცნების“ კისერთან დამოკლეს მახვილია აღმართული“

„ბევრი ადამიანი კორონავირუსსაც კი „ნაცქოცურ“ პრიზმაში განიხილავს... ხელისუფლება თუ ყველაფერს რეიტინგით საზღვრავს, ბრიყვია“

იაგო ნაცვლიშვილი

საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ხელისუფლებამ აგრარული ბაზრების დაკეტვის გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა იქ მომუშავე თვითდასაქმებული პირებისთვის ეს არ უცნობებია. უცნობია ისიც, დაეხმარება თუ არა მთავრობა მათ რაიმე სახით.

რამდენად გამართლებულია მთავრობის ეს პოლიტიკა და რა შედეგს მოუტანს ხელისუფლებას რეიტინგის თვალსაზრისით ეს გადაწყვეტილება? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** საუბრობს:

– დაიკეტა ბაზრები, თან ისე, რომ თვითდასაქმებული ადამიანები, რომლებიც ვაჭრობით ირჩენდნენ თავს, წინასწარ არც კი გააფრთხილეს. ხომ არ უნდა გაეფრთხილებინათ წინასწარ ეს ადამიანები და ხომ არ არის საჭირო მინიმალური დახმარება, რათა ეს ადამიანები ელემენტარული ლუკმაპურის გარეშე არ დარჩნენ?

– რა თქმა უნდა. სოციალური პაკეტი აუცილებელია. იმიტომ, რომ უმუშევრობის დონე ქვეყანაში საკმაოდ მაღალია, საკმაოდ დიდი სეგმენტია თვითდასაქმებულები. სწორედ ამ სეგმენტს მიეკუთვნებიან ბაზრებში თუ ბაზრობებში მოვაჭრე ხალხი, ისინი ყოველდღიურ შემოსავალზე არიან დამოკიდებულები. იქიდან გამომდინარე, რომ ხელისუფლების მთავარი კონსტიტუციური ვალდებულება არის ადამიანის ჯანმრთელობის და სიცოცხლის უზრუნველყოფა, ბუნებრივია, ეს ტვირთი და ეს პასუხისმგებლობა ხელისუფლებაზეა.

პირველი ნაბიჯი ხელისუფლებამ გადადგა კომუნალურ გადასახადებთან დაკავშირებით. ესეც სოციალური პაკეტის ნაწილია. გასაგებია, რომ ეს არ არის საკმარისი, მაგრამ ტოტალურ ხასიათს ატარებს. იმის ილუზია, რომ ჩვენ სახელმწიფოს შეუძლია ამ სოციალური რისკების გადაზღვევა, ნამდვილად არ მაქვს. ამის საშუალება არ არსებობს და ასეთი მძიმე ვითარებაა ამ მიმართულებით.

– სამედიცინო თვალსაზრისით ვაქებთ გატარებულ ღონისძიებებს და სწორადაც ვიქცევით, მაგრამ მეორე მხრივ, მთავრობის მოქმედებები ეკონომიკურ-სოციალური მიმართულებით ხომ არ არის ან უმოქმედო, ან დაგვიანებული და ამ მხრივ არაეფექტიანი ნაბიჯები ხომ არ იდგმევა?

– მთავრობის მთავარი პრობლემა გახლავთ ის, რომ ჩვენ არ გვაქვს საკმარისი რეზერვი იმისათვის, რომ გამოწვევებს გავუმკლავდეთ. სუსტი ეკონომიკა და სუსტი ბიუჯეტი გვაქვს, რაც მთავრობის პასუხისმგებლობაა. ფორსმაჟორში ვეღარ უმკლავდება პრობლემებს, იმიტომ, რომ სახელმწიფოს არ აქვს რესურსი ამ სოციალური რისკების გადაზღვევის თვალსაზრისით. ეს ხელისუფლების პასუხისმგებლობაა.

ჩვენ როდესაც დაგვიანებებზე ვსაუბრობთ, კი ბატონო, რაღაც ეტაპებზე აგვიანებენ, მაგრამ როცა არ გაქვს რესურსი, აქ დაგვიანებაზე ლაპარაკი ძნელია. არ აქვთ და რითი დაეხმარონ?!

– ინტერპარტიული ჯგუფის შექმნა ხომ არ იყო საჭირო ან სხვა ფორმატით ოპოზიციისთვისაც ინფორმაციის მიწოდება? ეს შეთავაზება რამდენიმე პარტიას ჰქონდა, მათ შორის „ლელოსაც“.

– ინტერპარტიული ჯგუფების შექმნა რამდენად საჭიროა არ ვიცი. კი ბატონო, თუ ვინმეს კარგი აზრები აქვს, ამის განხილვა შეიძლება ხდებოდეს სამუშაო ფორმატში. ინტერპარტიულმა ჯგუფმა რა უნდა გააკეთოს?! თუ ვინმეს რამე იდეა აქვს ასეთ ფორსმაჟორულ ვითარებაში, ამის განხილვა შეიძლება. პოლიტიკური პროცესი შეჩერებულია და ჩვენ ყველა ვებრძვით ერთ მტერს, შესაბამისად, თუ რომელიმე პარტიას პროფესიული მოსაზრება აქვს ან იდეა, სამუშაო ფორმატში შეუძლია განიხილოს ხელისუფლებასთან. ჩვენ დღეს ყველა ვართ ლოიალურები ხელისუფლების მიმართ. ასეთი მოცემულობა, ასეთი დრო და ასეთი აუცილებლობა დგას.

– მაგალითად, ნაციონალურმა მოძრაობამ და მიხეილ სააკაშვილმა შესთავაზა ემიგრანტების ჩამოყვანასთან დაკავშირებით დახმარება, მაგრამ ხელისუფლებისგან რეალურად არც კი მოგვისმენია და არც არა.

– ეს უნდა ხდებოდეს სამუშაო ვითარებაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელისუფლების მისამართით კითხვები დაგვავიწყდა, რაც გუშინ გვქონდა, ან ხვალ არ გვექნება. დღეს ეს ყველაფერი უნდა ხდებოდეს სამუშაო ვითარებაში და ეს არ არის პოლიტიკური პოლემიკის საგანი, ან შეიძლება გახდეს. ვისაც რისი გაკეთება შეუძლია, ის უნდა გააკეთოს და იმ ფორმით, რა ფორმითაც ეს ხელეწიფება. თუ სააკაშვილს შეუძლია, რომ ვიღაცები ჩამოიყვანოს, კი ბატონო, ჩასვას თვითმფრინავში და ჩამოიყვანოს. პრობლემა არაა.

– თუმცა მას სჭირდება საჰაერო სივრცის გახსნის ნებართვა.

– თუ ხელისუფლებისგან რაიმე სჭირდება, უნდა მიმართოს შესაბამის ორგანოს და ეს არ უნდა ხდებოდეს საჯარო მონოლოგის რეჟიმში. სამუშაო რეჟიმში უნდა ვაკეთებდეთ დღეს ჩვენ ყოველივე ამას.

– რისი ბრალია, რომ ეს ისევ ორპარტიულ პოლიტიკურ კინკლაობაში გადავიდა?

– სამწუხაროდ, ჩვენ ასეთი მოცემულობა გვაქვს, რომ ძალიან ბევრი ადამიანი „ქართული ოცნების“ მხრიდანაც და ნაციონალური მოძრაობის მხრიდანაც კორონავირუსსაც კი პოლიტიკურ პრიზმაში განიხილავს. „ნაცქოცური“ დაპირისპირების პრიზმაში განიხილავენ და ჩვენ ამის უამრავი მაგალითი შეგვიძლია ვნახოთ, იგივე „ფეისბუქ-პოსტებს“ რომ დავაკვირდეთ.

„ქართული ოცნებიდან“ ვიღაცებს საერთოდ პარტნიორად მიაჩნიათ და გახარებულები არიან, რომ საზოგადოება ლოიალურია ხელისუფლების მიმართ. როგორ შეიძლება ამით იყო გახარებული და პარტნიორად განიხილავდე ამ ვირუსს?!

– ესეც ხომ არ დაინახეთ, რომ ხელისუფლება ამ სიტუაციას იყენებს პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად?

– ის, რომ ხელისუფლება იყენებს, ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ხელისუფლებას ერთი მარტივი რაღაც უნდა ესმოდეს – ადამიანს, როდესაც სიკვდილის შიში აქვს, ლოიალური ხდება, მაგრამ როდესაც ეს სიკვდილის შიში უკანა პლანზე გადადის და წინა პლანზე მოდის შიმშილის შიში, რითაც ჩვენი საუბარი დავიწყეთ, ამი უკვე ადამიანი აგრესიული ხდება. შესაბამისად, ხელისუფლებას იმის ილუზია, რომ რადგანაც დღეს ლოიალურია საზოგადოება და ჰგონია, რომ ეს ხანგრძლივი ფენომენია, ეს ნამდვილად არ არის ასე. როგორც კი კორონავირუსის თემა უკანა პლანზე გადაიწევს, დაიწყება აგრესია ხელისუფლების მიმართ. როდესაც გახარია ვერ უზრუნველყოფს ადამიანებს იმით, რომ მათ არ მოშივდეთ, გგონიათ გახარიას არ შეიძულებენ?! მეორე დღესვე შეიძულებენ.

– ანუ პოლიტიკური რეიტინგის თვალსაზრისით „ქართულ ოცნებას“ დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეს?

– პოლიტიკური რეიტინგი საერთოდ ძალიან მყიფეა. ეს არის მოკლევადიანი ფენომენი, ხოლო გრძელვადიანი და სტაბილური პოლიტიკისათვის მხოლოდ ავტორიტეტია. ხელისუფლება, რომელიც ყველაფერს რეიტინგით საზღვრავს, ის მინიმუმ ბრიყვია და არ ესმის, რეალურად როგორ ხდება ეს ყველაფერი. გადახედონ ისტორიას და ძალიან ბევრ შესაბამის მაგალითს ნახავენ. შესაბამისად, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა, რომელიც ხვალ აქტუალური გახდება, შეიძლება ხელისუფლებისთვის გახდეს დამოკლეს მახვილი, რომელიც უკვე აღმართულია მის კისერთან და შეიძლება ამოქმედდეს კიდეც.

საერთოდ, ჩვენთან გადახტომამდე ჰოპლას დაძახება ბევრად უფრო პოპულარული სპორტია, ვიდრე საკუთრივ გადახტომა. ასე არ დაემართოს ხელისუფლებას. მე მგონი, ჰოპლას დასაძახებლად საქმე ნამდვილად არ აქვს.

პაატა იმნაძე: „ქვეყანაში არის კორონავირუსის შემთხვევები, რომლებიც არ ვიცით“



– საქართველოში კორონავირუსის რამდენიმე დაუდგენელი შემთხვევა ნამდვილად არსებობს, რაც, რა თქმა უნდა, კარგი არ არის.

ამის შესახებ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ, პაატა იმნაძემ, ისაუბრა:

– დაუდგენელი შემთხვევები რომ ნაღმი იყო ქვეყნებისთვის, ეს აჩვენა ძალიან ბევრი ქვეყნის გამოცდილებამ. ამას ღიად ვამბობთ – რა თქმა უნდა, არის ქვეყანაში რამდენიმე შემთხვევა, რომელიც დღეს ჩვენ არ ვიცით. ამ კითხვაზე ერთი ასეთი პასუხი გამახსენდა, ფრინველის გრიპი რომ იყო, ჟირინოვსკი გამოვიდა რუსეთის ტელევიზიით და თქვა, რომ რუსეთის საზღვრებზე სარაკეტო ძალები დავაყენოთო და ყველა გადამფრენი მფრინველი ჩამოვაგდოთო. ჩემი პასუხი ეს არის.

საქართველო არის ერთ-ერთ ბოლო ადგილზე ევროპაში, სადაც ერთ მილიონ მოქალაქეზე ყველაზე ნაკლები ადამიანის ტესტირება ხდება. მეზობელმა აზერბაიჯანმა ოთხჯერ მეტი, სომხეთმა კი სამჯერ მეტი მოქალაქის ტესტირება მოახდინა.

7 აპრილიდან თბილისში ყველა აგრარული ბაზარი დაიკეტა

მთავრობის საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, 7 აპრილიდან თბილისში ყველა აგრარული ბაზარი დაიკეტა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ დედაქალაქის მერიაში განუცხადეს, გადაწყვეტილების მიზეზი კორონავირუსის გავრცელების პრევენციაა.

– ეს უკავშირდება კორონავირუსის გავრცელების პრევენციის ღონისძიებებს. შესაბამისი რეკომენდაცია გასცა უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ და დღეიდან თბილისში არსებული ყველა აგრარული ბაზარი დაიკეტა, – აცხადებენ უწყებაში.

ლევან იოსელიანი: „პენიტენციურ სისტემას პატიმრებისთვის ვიდეო შეხვედრების მოწყობა შეუძლია“

„სამოქალაქო მოძრაობის“ ლიდერის ლევან იოსელიანის თქმით, პენიტენციურ სისტემას პატიმრებისთვის ვიდეო შეხვედრების მოწყობა შეუძლია.

ამის შესახებ ინფორმაციას „სამოქალაქო მოძრაობა“ ავრცელებს.

– კორონავირუსის გამო აკრძალულია პაემნები. ოჯახის წევრებს უკვე დიდი ხანია, არ ეძლევათ საშუალება, მოინახულონ პატიმრები. თუ აქამდე ახლობლები კითხულობდნენ და ნერვიულობდნენ მსჯავრდებულებზე, ახლა პირიქითაა, ისინი ნერვიულობენ ჩვენზე. ამიტომ საჭიროა, პენიტენციურმა დაწესებულებამ უზრუნველყოს პატიმრების ოჯახის წევრებთან ონალაინ კომუნიკაცია.

ეს ყველაფერი არ დაჯდება ძვირი და ამის განხორციელება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შეუძლია, – განაცხადა ლევან იოსელიანმა.

მისი თქმით, ვითარება შეიცვალა და გამხნევება დღეს უკვე პატიმრებისგან ესაჭიროებათ მათი ოჯახის წევრებს, რისი საშუალებაც უნდა მიეცეთ.

სტიქაროსანს კოვიდ 19 დაუდასტურდა

კვირას ის წირვაზე იყო

სტიქაროსანი, რომელსაც კორონავირუსი დაუდასტურდა, კვირას წირვას ესწრებოდა.

ინფორმაციას იმ ტაძარში ადასტურებენ, სადაც ინფიცირებული მსახურობდა. ტაძრის მესანთლე ამბობს, რომ აბიტურიენტი, რომელიც მათთან სტიქაროსანი იყო, ეკლესიაში მრევლთან ერთად იმყოფებოდა, თუმცა იმ დღეს მოქალაქეებს ზიარება არ მიუღიათ.

ტაძარში მიდიოდა სტიქაროსნის დედაც, რომელიც ასევე ინფიცირებულია. კოვიდ-19 დაუდასტურდა სტიქაროსნის ბაბუასაც.

სტიქაროსანი ოჯახის წევრებთან ერთად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაშია მოთავსებული.

კლინიკაში სტიქაროსნის ბაბუა, დედა და ოჯახის კიდევ ერთი წევრი იმყოფებიან.

81 წლის მამაკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, ოჯახის დანარჩენი წევრები კი ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში იმყოფებიან.

თენგიზ ცერცვაძე: „ექიმებმა შესაძლებელზე მეტი გააკეთეს“

საქართველოში კოვიდ 19-ით ინფიცირებული 86 წლის ქალი გარდაიცვალა



საქართველოში კორონავირუსით კიდევ ერთი პაციენტი გარდაიცვალა. პაციენტი თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში მკურნალობდა. ის 86 წლის იყო.

– დღეს, სამწუხაროდ, ჩვენს ცენტრში დაფიქსირდა კოვიდ-19-ით გარდაცვალების რიგით მე-3 შემთხვევა ქვეყნისთვის და პირველი ჩვენი საავადმყოფოსთვის. მინდა გითხრათ, რომ ეს გარდაუვალი იყო. ეს იყო 86 წლის ქალბატონი, რომელიც 2 კვირაზე მეტია ჩვენთანაა.

პრაქტიკულად, ეს იყო ყველაზე მძიმე პაციენტი ალბათ, რაც კი ეპიდემიის დაწყებიდან შემოსულა კლინიკაში. გარდა იმისა, რომ ის 86 წლის იყო, მას ჰქონდა მძიმე თანმხლები ნევროლოგიური დაავადება, ჰქონდა მძიმე ორმხრივი პნევმონია, რომელიც შეფასებული იყო მაქსიმალური 24 ქულით, რაც იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკულად, არ იყო დარჩენილი ჯანმრთელი ფილტვის ქსოვილი, ჰქონდა მძიმე სეფსისი და კიდევ სხვა მძიმე გართულებები.

2 კვირის მანძილზე ეს პაციენტი იმყოფებოდა რეანიმაციაში. ექიმებმა ყველაფერი გააკეთეს. ვფიქრობ, უფრო მეტიც, ვიდრე ადამიანს შეუძლია, მაგრამ, სამწუხაროდ, სიტუაცია იყო ისეთი, რომ შეუთავსებელი იყო სიცოცხლესთან და გადარჩენა ვერ მოხერხდა, – განაცხადა ინფექციური კლინიკის ხელმძღვანელმა თენგიზ ცერცვაძემ მედიისთვის გაკეთებულ კომენტარში.

პატრიარქი ხარების წირვას არ დაესწრო

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ექიმის, ცისანა შარტავას განცხადებით, პატრიარქის ჯანმრთელობის მდგომარეობა ნორმალურია.

მისი ინფორმაციით, 7 აპრილს უწმინდესი მღვდელმსახურებას საპატრიარქოში დაესწრო.

– ყველაფერი ნორმალურად არის, უბრალოდ გვინდოდა, რომ წნევის შემდეგ განეტვირთა თავი. წინ ბევრი დღესასწაული გველოდება. დაგვეთანხმა და საპატრიარქოში დაესწრო მსახურებას. ახლა პატრიარქი ნორმალურად, სტაბილურადაა, – განაცხადა ექიმმა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გუშინ, 7 აპრილს, სამების საკათედრო ტაძარში ხარების საზეიმო წირვას არ დაესწრო.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სერგი კაპანაძე: „ვისაც შემოსავალი შეუმცირდა, კომპენსაცია ბიუჯეტიდან უნდა მიეცეს“

„ველოდებით, ხელისუფლებამ პოლიტპატიმრებზე დაპირება 25 აპრილამდე უნდა შეასრულოს“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობის“ კითხვებს „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **სერგი კაპანაძე** პასუხობს.

– ბატონო სერგი, პოლიტპატიმრების თემა მეორეხარისხოვანი გახდა?

– არა, მეორეხარისხოვანი არ გახდა, უბრალოდ, სხვა პრობლემა წამოვიდა წინა პლანზე და აქედან გამომდინარე აქტუალურობა აქვს კორონავირუსს, თორემ ეს მეორეხარისხოვანი თემა არ არის და ჩვენ ველოდებით, რომ ის დაპირება და ის შეთანხმება, რომელიც შედგა, აუცილებლად შესრულდება!

– მაინც როდის შესრულდება?

– ამასთან დაკავშირებით კონკრეტული შეთანხმებები არსებობს, ველოდებით, რომ პირველ მოსმენამდე შესრულდება და ვნახავთ, რა და როგორ იქნება.

– კონკრეტულად როდის ელოდებით ხელისუფლების მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებს?

– საკონსტიტუციო პაკეტის პირველ მოსმენამდე, ანუ 25 აპრილამდე.

– უკვე გადაწყვიტეს, რომ ოქრუაშვილს უახლოეს დღეებში სასჯელი მიუსაჯონ. ამაზე რას იტყვით?

– სანამ რამე არ მოხდება, წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ჩვენ გვაქვს მოლოდინი, რომ ხელისუფლებას საღი აზრი ეყოფა და ამ შეთანხმებას ბოლომდე მიიყვანს და შეასრულებს. დანარჩენზე კი ვისაუბრებთ მერე, როცა დავინახავთ, რა გააკეთეს და რა არა.

– საერთაშორისო გამოხმაურებას თუ ელოდებით ამ კუთხით?

– როგორი იქნება, ეს ძნელი სათქმელია. თუმცა, როგორი დამოკიდებულება იყო საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან, ეს ყველამ კარგად ვიცით. აქედან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნები, თუ რა რეაქციები იქნება მომავალში.

– „ოცნების“ რეიტინგმა საგრძნობლად იმატა, ამიტომ მას აწყობს არჩევნები, ხოლო ოპოზიციას არა. ასეა?

– დღეს თუ ვინმე ცდილობს, რომ კორონავირუსით ქულები ჩაიწეროს, ეს მისი პრობლემაა როგორც მორალთან, ისე ზოგადად. თუმცა ამ ეტაპზე ჩვენი მოლოდინი არის, რომ ყველაფერი ისე ჩატარდება, როგორც იყო დაგეგმილი. ანუ ოქტომბერში!

– რას იტყვით „ოცნების“ რეიტინგზე? ამაზე არ მიპასუხეთ.

– „ოცნების“ რეიტინგზე სასაუბროდ ჯობია, „ოცნებას“ დაელაპარაკოთ.

– თქვენ როგორ ფიქრობთ, მოიმატა მისმა რეიტინგმა?

– არ ვიცი. მე არ ვაფასებ ეგრე. მით უმეტეს, ახალი კვლევები არა მაქვს. რა კვლევებიც იყო ადრე, იქ ძალიან კარგად ჩანს, რომ ოპოზიციური ძალები წინ არიან, ვიდრე ხელისუფლება. იმის მერე სხვა კვლევა არ ყოფილა და კვლევების მიღმა ჩემი მხრიდან შეფასების გაკეთება არასწორია.

– როგორ ართმევს ხელისუფლება თავს შექმნილ სიტუაციას? რა ხარვეზები აქვთ ამ საგანგებო სიტუაციაში?

– ჩვენი ჯანდაცვის სექტორი და ექიმები თავდადებით იბრძვიან, ეს ბუნებრივია. ის, რა ღონისძიებებიც გატარდა ამ ეტაპზე, გამართლებულია. ის მოწოდება, რომ სახლში დარჩნენ მოქალაქეები, სწორი და ლეგიტიმური მოწოდებაა.

ამის მერე შემოდის უკვე ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც არც დაძლეული არ არის და უფრო უარესი ის არის, რომ ხედვასაც ვერ ვხედავ ხელისუფლების მხრიდან, როგორ უნდა დაიძლიოს.

ჩვენ ჩვენი გეგმა წარვადგინეთ, რა უნდა გაკეთდეს, რომელიც გულისხმობს ფუნდამენტურ ნაბიჯებს, საშემოსავლო გადასახადის ჯერ განულებას და შემდეგ შემცირებას, მოგების გადასახადის განულებას, ქონების გადასახადის, ასევე სააქციზო გადასახადის შემცირებას, დღგ-ს შეცვლას, კონკრეტული თანხის გამოყოფას ვაუჩერებზე, რაც ნაწილობრივად გააკეთა ხელისუფლებამ. ასევე, რაც ყველაზე მთავარია, ამ საპენსიო დაგროვებითი სქემის შეჩერებას, როგორც მინიმუმ 8 თვის განმავლობაში და იქ დაგროვილი თანხების გამოყენებას სხვადასხვა ეკონომიკური მიმართულებით.

ეს არის ჩვენი შეთავაზება, რომელიც დიდი ხანია წარვადგინეთ, ოღონდ ამაზე რეაგირება არ მოგვისმენია. ამ კუთხით ხელისუფლება საერთოდ არ დგამს ნაბიჯებს.

– უამრავი ადამიანი დარჩა და კიდევ დარჩება უმუშევარი. არსებობს მათი დახმარების გეგმა?

– საქმეც ეგაა, რომ გეგმა არ არსებობს და ეს დახმარება აუცილებელია. ჩვენს გეგმაში ეგ არის გათვალისწინებული, რომ ყველა იმ ადამიანს, ვისაც შეუმცირდა შემოსავალი, კომპესაცია მიეცეთ ბიუჯეტიდან.

აფხაზეთში კორონავირუსის პირველი შემთხვევა დაფიქსირდა

ოკუპირებულ აფხაზეთში კოვიდინფექციით დაინფიცირების პირველი შემთხვევა გამოვლინდა.

შემთხვევა გაგრაში დაფიქსირდა. დაინფიცირებული გუდაუთის საავადმყოფოშია გადაყვანილი. ამის შესახებ მთავარმა სანიტარულმა ექიმმა ლუდმილა სკორიკმა განაცხადა.

– ავადმყოფი ჰოსპიტალიზებული და იზოლირებულია. ამჟამად მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. პაციენტი მოსკოვიდან არის ჩამოსული, სადაც მივლინებით იმყოფებოდა, – განაცხადა ლუდმილა სკორიკმა.

მისი თქმით, ეპიდემიოლოგები ინფიცირებულის კონტაქტებს იკვლევენ.

სკორიკის თქმით, აღნიშნული შემთხვევა მათთვის მოულოდნელი არ ყოფილა და აცხადებს, რომ მომავალში მოსახლეობა გახდება მოწმე დაავადების დიდი რაოდენობისა, ვინაიდან აფხაზეთის მცხოვრებლები არ ემორჩილებოდნენ იმ მოთხოვნებს, რომელთაც „მინისტრთა კაბინეტი“ აქვეყნებდა.

ამ შემთხვევას შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი გამოეხმიანა.

მან იმედი გამოთქვა, რომ შემთხვევის მართვა დადგენილი პროტოკოლის დაცვით მოხერხდება.

მისივე თქმით, სახელმწიფო მზად არის, დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას.

– ის, რომ შემთხვევა დადასტურდა აფხაზეთის რეგიონში, რა თქმა უნდა, არ არის მოულოდნელი. ცხადია, როცა საფრთხეებზე ვსაუბრობთ, ამის ალბათობა არსებობს და არსებობს იმის ალბათობაც, რომ იყოს სხვა შემთხვევებიც.

რა თქმა უნდა, ჩვენი მზაობაც ძალაშია და მოქმედებები, რომელთაც ვატარებთ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რომ დავეხმაროთ იქ მოსახლეობას. ასევე, მე იმედი მაქვს, რომ ადგილზე მოხერხდება ყველა იმ პროტოკოლის დაცვა, რითაც ასეთ შემთხვევებში ცდილობენ, რომ შეაკავონ უკვე გავრცელება, დაადგინონ კლასტერი, კონტაქტები და ასე შემდეგ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, – განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

კახა კალაძე: „მიკროავტობუსების შესაძენად გამოცხადებული ტენდერი, ისევე, როგორც სხვა პროექტები, შეჩერდება“

თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებით, ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ბევრი მნიშვნელოვანი და მასშტაბური პროექტი დროებით შეჩერდება, მათ შორის, გადაიდება მიკროავტობუსების შესყიდვის პროცესი.

– რამდენიმე დღის წინ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გავაკეთე განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა მოგვიწევს. სამწუხაროდ, მოგვიწევს ბევრ პროექტზე ვთქვათ უარი, იმ გარემოებებიდან და რეალობიდან გამომდინარე, რაც ჩვენს ქვეყანაში და მსოფლიოში ხდება. არაერთი მნიშნელოვანი და მასშტაბური პროექტი, რომელიც ჩვენი მხრიდან იყო დაანონსებული, დროებით შეჩერდება, რადგან პრიორიტეტები დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, შეცვლილია. შესაბამისად, მიკროავტობუსების ტენდერი, რომელიც 13 მარტს გამოცხადდა, შეჩერებული იქნება, – განაცხადა კახა კალაძემ.

23 იანვრიდან ჩაკეტილი უხანიდან მოსახლეობას გასვლის უფლება მისცეს

გუშინ, 7 აპრილს, ჩინეთის ხელისუფლებამ უხანიდან, რომელიც კოვიდინფექციის ეპიდემიის კერა იყო და 76 დღის განმავლობაში გარესამყაროს იყო მოწყვეტილი, გამოსასვლელი გზები გახსნა.

ხელისუფლებამ გახსნა ქალაქიდან გამოსასვლელი მაგისტრალები და მოქალაქეებს ნება დართო, ავტომანქანებით დატოვონ ქალაქი.

მომხდარს ჩინეთის ცენტრალური ტელევიზია პირდაპირ ეთერში აშუქებდა.

უხანი 23 იანვრიდან გარესამყაროს იყო მოწყვეტილი.

ქალაქთან სატრანსპორტო მიმოსვლა შეწყდა. არ მუშაობდა მეტრო და ავტობუსები. ქალაქში არ უშვებდნენ წყლის ტრანსპორტსაც, არ მუშაობდნენ აეროპორტი და რკინიგზის სადგურები.

უხანის მცხოვრებლებს განსაკუთრებული ნებართვის გარეშე ქალაქის დატოვების უფლება არ ჰქონდათ.

საქართველოში კორონავირუსისგან 46 ადამიანი განიკურნა

საქართველოში ახალი კორონავირუსისგან უკვე 46 პაციენტი გამოჯანმრთელდა. ქვეყანაში კორონავირუსით ინფიცირებულია 195 ადამიანი. გარდაცვლილია 3 პაციენტი.

კარანტინის რეჟიმშია 4.708 ადამიანი, სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ 370 მოქალაქეა.

თბილისის მერიას ვაკისთვის სკამების შესაძენად 1,3 მლნ ლარი აქვს გამოყოფილი

თბილისის მერია განახლებული ჭავჭავაძის გამზირისთვის 155 ახალ სკამს ყიდულობს. თითო სკამისთვის, საშუალოდ, 8 464 ლარი აქვს გამოყოფილი, რაც ჯამში 1 311 870 ლარია.

ტენდერი უკვე გამოცხადებულია, გამარჯვებული კი თვის ბოლოს გამოვლინდება. გამარჯვებული კომპანია ვალდებული იქნება, თავადვე დაამონტაჟოს სკამები ჭავჭავაძის გამზირზე.

განახლებული ჭავჭავაძის გამზირისთვის თბილისის მერიამ სკამების შესაძენად ტენდერი რამდენიმე თვის წინაც გამოაცხადა. მაშინ თითო სკამში, საშუალოდ, 12 135 ლარის გადახდა იგეგმებოდა.

რადიო „თავისუფლება“

სოსო შატბერაშვილი: „მაღალი რეიტინგი გახარიას აქვს და არა „ოცნებას“

„არ გამოვრიცხავ, რომ ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში დაბრუნდეს“

ნათია ხურცილავა

„მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე **სოსო შატბერაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, როგორ ფიქრობთ, რამდენად არის საფრთხე, რომ პანდემიის გამო საკონსტიტუციო ცვლილებები ჩავარდეს, საპარლამენტო არჩევნები გადაიდოს?

– მთავარი ამოცანა დღეს საქართველოს მოსახლეობის, ადამიანების გადარჩენაა ამ ვერაგი ვირუსისგან. დღეს, ნომერ პირველი ამოცანა მთავრობისთვის უნდა იყოს, რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან.

რაც შეეხება პოლიტიკას, დღეს პოლიტიკური პროცესი გაჩერებულია, თუმცა მე მაინც ვფიქრობ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები არ უნდა ჩავარდეს, რადგანაც ონლაინ რეჟიმში შეიძლება ცვლილებების განხორციელება. ამაზე ალბათ ფიქრობს და მუშაობს კიდეც პარლამენტი.

რაც შეეხება არჩევნებს, აქ უფრო რთულად არის საქმე. არჩევნები ყველა ქვეყანაში იმისთვის ტარდება, რომ ხალხის ნება გამოიხატოს. ხალხის წარმომადგენლებით დაკომპლექტდეს პარლამენტი, რომელმაც უნდა მართოს ქვეყანა. თუ არჩევნები საფრთხეს შეუქმნის მოსახლეობას, ადამიანებს, მათ ჯანმრთელობას, მაგრამ ონლაინ რომ ჩატარდეს არჩევნები, ხომ წარმოგიდგენიათ ამას რა მოჰყვება?! ეს წარმოუდგენელი და დაუშვებელი იქნება, არჩევნები უნდა ჩატარდეს ისე, როგორც აქამდე ტარდებოდა, მაგრამ თუ საფრთხეს შეუქმნის ამომრჩეველს, მაშინ უნდა გადაიდოს, სხვა გზა არ იქნება. თუმცა, ოქტომბრის ბოლოსთვის ამ ვერაგი ვირუსის წინააღმდეგ ან წამალი, ან ვაქცინა უკვე იქნება და არჩევნების გადადება არ მოგვიწევს. თუმცა, ეს რასაკვირველია, ჩემი დიდი სურვილია.

– აქამდე ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს როგორ აფასებთ? სად გაქვთ შენიშვნა?

– გახარია შესანიშნავი კრიზისმენეჯერი აღმოჩნდა, ყველა პრემიერ-მინისტრთან შედარებით, რომელიც საქართველოს აქამდე ჰყოლია. მას აღმოაჩნდა გარკვეული ალღო. მე, არ ვიცი, რა იქნება ეკონომიკური მიმართულებით, რამდენად გვექნება 5%-იანი ზრდა, რომელიც დაიგეგმა წლის დასაწყისში, ეს ეკონომიკური პროცესი გასაგებია ჩაიშალა, მაგრამ დღემდე არსებულ გამოწვევას გახარიამ თავი გაართვა და ეს აშკარაა.

რასაკვირველია, წინ ეკონომიკური გამოწვევები გვაქვს. ძალიან ძნელია საერთოდ პოლიტიკური პროგნოზების გაკეთება, მით უფრო რთულია ეკონომიკური პროგნოზები, მაგრამ ეს ყველაფერი გამოჩნდება მას შემდეგ, როდესაც სამყარო დაამარცხებს ამ პანდემიას. მთავრობას მოუწევს ქვეყნის ხელახლა დაბრუნება იმ რელსებზე, რომელზეც იდგა და ასე თუ ისე ვითარდებოდა. თუმცა, ეს მთავრობა რამდენად შეძლებს ამ რელსებზე დაბრუნებას, ამას დრო გვიჩვენებს. მე მაინც ვფიქრობ, რომ გახარია ამას შეძლებს ყველაფრის მიუხედავად თუ წლის ბოლოს, არჩევნებზე სხვა პარტიამ არ გაიმარჯვა და სხვა პრემიერ-მინისტრი არ ეყოლება ქვეყანას.

– რომელ პარტიაზე მიანიშნებთ, ვის გამარჯვებას ელოდებით არჩევნებზე?

– პირველ რიგში ამას ვამბობ ნაციონალურ მოძრაობაზე. ნაციონალური მოძრაობა ყველაფერს გააკეთებს, რომ ამ არჩევნებში გაიმარჯვოს და ხელისუფლებაში დაბრუნდეს.

– ამას უშვებთ?

– ვუშვებ! რაც ნამდვილად დამღუპველი იქნება ქვეყნისთვის. ასეთი საფრთხე არსებობს, ამიტომ მე არ გამოვრიცხავ, რომ ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში დაბრუნდეს.

– ამ ფონზე, როდესაც ამბობენ, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგი მაღალია?

– ეს ალბათ უფრო გახარიას პირადი რეიტინგია, ვიდრე „ქართული ოცნების“. საპარლამენტო უმრავლესობაზე კი არ მოდის ეს რეიტინგი, მთავრობაზე მოდის. ახლა უფრო ჩანს მთავრობის ეფექტურობა, ვიდრე საპარლამენტო უმრავლესობის. პარლამენტში, „ქართული ოცნება“ ნაციონალური მოძრაობის შემოტევას ვერ უმკლავდებოდა და ეს კარგად ჩანდა. ახლა სურათი განსხვავებულია.

გოგი წულაია: „ჩვენი პროდუქცია თუ არ გვექნა, შეიძლება შიმშილით დავიხოცოთ“

„კოვიდინფექციამ მორწმუნესაც და ათეისტსაც შეუტია და რა დროს ერთმანეთში ჩხუბია!“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა, იზოლაცია და კომენდანტის საათი გრძელდება. რაც დრო გადის, სულ უფრო ჩნდება კითხვა – რა იქნება პოსტ-ეპიდემიურ პერიოდში? ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „თავისუფალი საქართველოს“ თანათავმჯდომარეს, **გოგი წულაიას.**

– არ არის გამორიცხული, მთავრობამ დააფინანსოს საგაზაფხულო სამუშაოები, ანუ გამოყოს ფული აგრარული სექტორისათვის. თქვენი აზრით, რა სახის დახმარება უნდა იყოს ეს?

– შეიძლება იყოს სათესლე მასალის დარიგება, დახმარება ხვნა-თესვაში. ვისაც სჭირდება, იმას მთლიანად უნდა ჩაუტარონ საგაზაფხულო სამუშაოები. ზოგისთვის შეიძლება ეს ნაწილობრივი დახმარება იყოს. საერთოდ, პრობლემა შესასწავლია, თუ აქამდე არ შეუსწავლიათ. სოფლის მეურნეობას მიხედვა სჭირდება. ეს რომ ასეა, კორონავირუსთან დაკავშირებულმა ვითარებამ დაგვანახა. როცა მსოფლიოში ყველაფერი შეიცვალა, როცა ჩაკეტილია საზღვრები და ყველას თავი გასჭირვებია, ახლა მაინც ვიფიქროთ ადგილობრივ წარმოებაზე! პირველ რიგში, სურსათზე. ახლა ბევრი რამ დაიკეტა და შეიძლება ყველაფერი ვერ იშოვო, მაგრამ შეიძლება კატასტროფის წინაშე დავდგეთ! ჩვენი პროდუქცია – კარტოფილი, ხახვი, ნიორი, და ა. შ. თუ არ გვექნა, შეიძლება შიმშილით დავიხოცოთ.

– შორეულ მომავალზე საუბრობთ?

– თუ ეს სიტუაცია გაგრძელდა (ღმერთმა ნუ ქნას), საყოველთაო დეფიციტს მალე შევიგრძნობთ. შიმშილის გარდა, „ნასკი და ტრუსიკი“-ს პრობლემა გვექნება. მაღაზიებიც გაიხსნება, მაგრამ თუ იქ საქონელი არ გაიყიდა, რად გინდა! ამიტომ, პირველადი მოხმარების საქონელი უნდა გამოვუშვათ. საქართველო ამ მხრივ თვითკმარი უნდა გახდეს. ჩაივლის ეს კორონა და მერე სხვა ეპიდემია დაგვატყდება. ამას მე არ ვწინასწარმეტყველებ. ამაზე საუბრობენ სპეციალისტები. ორი-სამი წლის შემდეგ სხვა ვირუსი გამოჩნდება და ამისათვის ცოტა მომზადებულები ხომ უნდა ვიყოთ!

– აგრარული სექტორის გარდა, არსებობს სხვა სფეროები. აქ ბევრი ადამიანი შემოსავლის გარეშე დარჩა. აღმოჩნდა, რომ ამ კატეგორიის ადამიანების ბაზაც არ არის.

– ბაზა თუ არ არის, ესე იგი, ამ პრობლემას ხელისუფლება ხელცარიელი შეხვედრია. რას აკეთებს უსაფრთხოების საბჭო? ეს საფრთხე არ არის? ამ მომენტში ყველაზე უპრიანი იქნება ადგილობრივი ხელისუფლებების ჩართვა ამ საქმეში. მუნიციპალიტეტებში, მერიებში, უამრავი ადამიანი მუშაობს. კეთილი ინებონ, ხელი გაანძრიონ და შეადგინონ ამ ადამიანების ბაზა. ადგილებზე უნდა იცოდნენ, ვის შია და ვინ დადგება ხვალ შიმშილის წინაშე. ვისაც ესაჭიროება, ყველას უნდა დაეხმარონ. გარდა ამისა, ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა იფიქროს სამუშაო ადგილებზე, მათ შექმნაზე, შენარჩუნებაზე.

– თქვენი პროგნოზით, აქამდე არსებული სამუშაო ადგილები შემცირდება?

– ზოგიერთი პროფესია გაქრება, ან შეიძლება რამდენიმე წლით გაქრეს. ავიღოთ ტურიზმი. გვეუბნებიან, რომ მალე ტურისტები განაახლებენ სიარულს საქართველოში. კარგი იქნებოდა, მაგრამ საიდანაც ჩამოვლენ, იქაც ხომ დალაგებული უნდა იყოს სიტუაცია! ვიცი, რომ ჩვენთან ბევრი პოლონელი ჩამოდიოდა. თუ თვითონ პოლონეთში არ განახლდა ტურიზმი, თუ პოლონელებს კარგი შემოსავალი არ ექნათ, ისინი აქ როგორ ჩამოვლენ?!

– ტურიზმის სფეროში პრობლემები იქნება?

– ვფიქრობ, რომ სამი-ოთხი წელიწადის განმავლობაში ტურისტული ნაკადები არ გვექნება. ეს არ ნიშნავს, რომ ტურისტული ობიექტების მეპატრონეები უნდა გაჩერდნენ. მათ კაპიტალი სხვა რამეში უნდა დააბანდონ. ზოგიერთ ობიექტს პროფილის შეცვლა მოუწევს. ზოგი შეიძლება რამდენიმე წლით დაიხუროს. ამ ყველაფერს დიდი მუშაობა და ბრძოლა უნდა. ხელისუფლებამ უნდა იფიქროს, რომ მშიერი არავინ დარჩეს. ეკონომიკურ აღორძინებაზე ლაპარაკობენ, თუმცა შესაბამისი გეგმა ჯერ ვერ ვნახეთ.

– უცხოელი ანალიტიკოსების აზრით, კორონავირუსის პანდემია უდიდესი გამოწვევა აღმოჩნდა აშშ-ის, ასევე, რუსეთისთვის და მათი პრეზიდენტებისათვის. ლაპარაკია მასშტაბურ კრიზისებზე, რომლებიც ამ სახელმწიფოებს ელით. საქართველოს ხელისუფლებას შინ და გარეთ უფრო აქებენ, ვიდრე აკრიტიკებენ.

– საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა. ბოლო დროს ისმის ქება ჩვენი მედიკოსების მიმართ. ეს სახელმწიფოები – აშშ და რუსეთი განსაზღვრავენ მსოფლიო პოლიტიკას. აქამდე მათზე იყო დამოკიდებული, რა მოხდებოდა მსოფლიოში. მათ იმიტომ ახსენებენ. ჩემი აზრით, ამ ინფექციამ მსოფლიოში ბევრი რამე შეცვალა და გამოჩინა. აღმასვლას ახლავს დაღმასვლა, ნეგატიურს კი – პოზიტიური. მარგი ქმედების კოეფიციენტი 100-%-იანი არაა. უკანასკნელ ხანს გამოაშკარავდა, რომ ერთი ვირუსი ატომზე, ბომბსა და ავტომატზე ძლიერია, ძლიერი შეიარაღების მქონე ზესახელმწიფოები კი უძლურნი არიან მის წინაშე. აქედან დასკვნებია გამოსატანი.

– რა დასკვნები?

– ახლანდელი სიტუაცია მესამე მსოფლიო ომის ტოლფასია. აქ არ ჭრის სხვა იარაღი. ამიტომ, სახელმწიფოებმა თავი უნდა დაანებონ შეიარაღებასა და სამხედრო კონფლიქტებს. სხვა ომების დროს ადამიანებს ყოფდნენ მუსლიმანებად და ქრისტიანებად, ათეისტებად და მორწმუნეებად, სხვადასხვა ეროვნებად. დღეს ყველა ერთია და ყველა დაზარალებული. ერთი ვირუსი მთელ პლანეტას დედას გვტირობს. ამის გამო ადამიანების დაყოფა და დაპირისპირება არ იგრძნობა.

– სხვაგან, შეიძლება, შენელდა, მაგრამ საქართველოში ადამიანები ერთმანეთს მწვავედ უპირისპირდებიან. მაგალითად, ათეისტები და მორწმუნეები.

– ეტყობა, ვერ გაიგეს, რა ხდება. კოვიდინფექციამ მორწმუნესაც შეუტია და ათეისტსაც. რა დროს ერთმანეთში ჩხუბია! მორწმუნე მართლმადიდებლები ისევ აგრძელებენ ეკლესიებში სიარულს, რითიც სხვების გაღიზიანებას იწვევენ. სანიტარული ნორმების დაცვა გვევალება. ნორმებს ეკლესიებშიც ბევრი იცავს. ჩემი აზრით, ნამდვილ მორწმუნეს ეკლესიაში ვერაფერი მოერევა. სამწუხაროდ, არიან ისეთებიც, ვინც ეკლესიაში ფორმალურად დადის და იქ მეზობლებზე ჭორაობს. თუ ჭეშმარიტ მორწმუნეს ეკლესიაში სიარული უნდა, იაროს. ვინც ფრთხილობს, არც ის უნდა გავაკრიტიკოთ. საერთოდ, ათეისტებმა და მორწმუნეებმა ერთმანეთი არ უნდა დავჭამოთ. მით უმეტეს იმ დროს, როცა ყველას ერთი გასაჭირი გვაქვს. ადამიანების დაპირისპირება ამის გამო სწორი არ არის.

ვახტანგ ყოლბაია: „კორონავირუსის დამარცხების შემდეგაც მძიმე პერიოდი დადგება“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს აფხაზეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე **ვახტანგ ყოლბაია** პასუხობს.

– ბატონო ვახტანგ, თუ გაქვთ ინფორმაცია, რა ხდება აფხაზეთში?

– აფხაზეთში კორონავირუსი ისე არ არის ფეხმოკიდებული, როგორც დანარჩენ მსოფლიოში. ბოლო ინფორმაციით, რომელიც ახლა გავრცელდა (მე ცოტა ადრე ვიცოდი), ორი პიროვნება, რომელმაც გადმოკვეთა ფსოუს საზღვარი კორონავირუსის სიმპტომით, გადაყვანილი არიან გუდაუთის საავამყოფოში.

ჩვენმა პრემიერმა 37 ადამიანი დაასახელა, რომლებიც მკურნალობენ სხვადასხვა ადგილებში და იზოლაციაში არიან. თუმცა, ამბობენ მეტსაც. ვფიქრობ, ისინი ძირითადად გალის მოსახლეობიდან არიან, რადგან არ დასტურდება ინფორმაცია, რომ დანარჩენ აფხაზეთში ვირუსი მასობრივად იყოს გავრცელებული.

– რუსეთის საზღვართან ახლოს მდებარე აფხაზეთის ტერიტორიებიდან დაავადებული ადამიანები სამკურნალოდ სოჭში ხომ არ გადაჰყავთ, ან სამკურნალოდ გადადიან?

– ჯერჯერობით, არა. ჯერჯერობით, ვიცით, რომ ორი პიროვნება გუდაუთაშია გადაყვანილი. არა მგონია, რუსეთში მათი გადაყვანა მოხდეს, რადგან რუსეთში თვითონ უჭირთ. სამედიცინო პერსონალი არ ჰყოფნით და მეოთხე-მეხუთე კურსის სტუდენტებს სთავაზობენ სამსახურებს, რომლებსაც სწავლების გარკვეული ეტაპი აქვს გავლილი. თუმცა, გამორიცხული არაფერია, მაგრამ მასობრივად დაინფიცირების ფაქტი არ დასტურდება.

– აფხაზეთში ერთ-ერთი საავადმყოფოს ექიმებმა პროტესტი გამოთქვეს იმის გამო, რომ არ ჰქონდათ აღჭურვილობა და შესაბამისი სამკურნალო საშუალებები. ამიტომ საინტერესია, გუდაუთაში როგორი საავადმყოფო აქვთ.

– შესაბამისი აღჭურვილობა და აპარატურა არა თუ აფხაზეთში ჭირს, არამედ მთელ მსოფლიოს უჭირს. ამ მხრივ ამერიკასაც აქვს პრობლემები. ამიტომ აფხაზეთიც ვერ იქნება საამისოდ მზად.

როგორც ვიცი, აფხაზთში არასამთავრობო ორგანიზაციები ეხმარებიან. თვითონ აფხაზმა ბიზნესმენებმაც დაიწყეს თანხების შეგროვება. გასულ კვირას აფხაზეთში ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების შეხვედრა იყო და მათ შეპირდნენ 500 ათასი დოლარის ჰუმანიტარული ტვირთის შეტანას.

აფხაზები, როგორც თითოეული ჩვენგანი, დისციპლინას შეჩვეული არ არის, თუმცა, როგორც აქ ვხედავთ, როცა გაგვიჭირდა, ყველამ თვითმობილიზება მოვახდინეთ.

ამიტომ აფხაზეთის მოსახლეობას ვურჩევ, დიდი სიფხიზლით მოეკიდონ იმ შეზღუდვებს, რასაც ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია მათ დაუწესებთ.

– რადგან პაციენტები გუდაუთაში გადაიყვანეს, გუდაუთაში შეიძლება ჰქონდეთ კოვიდის მკურნალობისთვის შესაბამისი პირობები?

– როგორც ვიცით, ჯერ ვაქცინა გამოგონებული არ არის. რაღაც ძველი ნაცადი მეთოდებით მკურნალობენ. გუდაუთაშიც არიან ძველი, გამოცდილი ექიმები და შეიძლება მათ საერთო სიმპტომების კვალობაზე მოახდინონ რეაგირება.

ორგანიზმი, რომელიც არის სხვადასხვა ქრონიკული დაავადებებით, მოკლებულია ძლიერ იმუნიტეტს, მას კორონავირუსი ერევა. მიჩნეულია, რომ აქ მთავარი პანაცეა არის სახლში ჯდომა, რომ დაუძლურებულ ორგანიზმსაც არ შეეყაროს ვირუსი, რომელიც გადაიზრდება კორონავირუსში.

აქედან გამომდინარე, ჯერ არავის უნახავს მისგან რეალური განკურნების საშუალება, მაგრამ ვიცით, რომ მსოფლიოში კოვიდისაგან ბევრი განიკურნა.

– როგორც გახმოვანდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების წარმომადგენლებს ჰქონდათ კომუნიკაცია. ამას თქვენ როგორ აფასებთ? როგორც ჩანს, შეთანხმდნენ, რომ აფხაზეთიდან პაციენტებს მივიღებთ და ვუმკურნალებთ.

– თუ ასეთი რამ კეთდება, მივესალმები. როგორც პრემიერმა ბრძანა, ენგურს გაღმა და გამოღმა ჩვენ გაყოფილი არ ვართ. მცხოვრებლებს ჩვენ არ ვყოფთ. ისინი მიიჩნევენ, რომ გაყოფილები ვართ, მაგრამ ჩვენ ამას ყურადღებას არ უნდა ვაქცევდეთ. მით უმეტეს, რომ ჯანდაცვასა და ავადმყოფობას საზღვარი არ აქვს.

აქედან გამომდინარე, თუ ასეთი რამ არსებობს და თუნდაც უხილავი კონტაქტები არის, ამას მივესალმები. მივესალმები იმას, ყველას, ვისაც შეუძლია მათი დახმარება და მას აფხაზური მხარე მიიღებს, მზად ვართ აფხაზეთის მოსახლეობას დახმარების ხელი გავუწოდოთ.

შეიძლება აფხაზებმა ეს არ მიიღონ და უარყონ კიდეც, მაგრამ ჩვენ უნდა ვცადოთ და ხელი შევუწყოთ.

– ყველა ანალიტიკოსი ამბობს, რომ მსოფლიო შეიცვლება. ამჟამად ფაქტობრივად, შეცვლილიც არის. არსებული ვითარება თუ შეცვლის რაიმეს აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებში?

– ვფიქრობ, შექმნილი მდგომარეობა არა მარტო აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებს შეცვლის, არამედ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებსაც. კორონავირუსს ადრე თუ გვიან კაცობრიობა მოერევა (იმედია, ძალიან გვიან არ იქნება) და ჩაბარდება ისტორიას ისე, როგორც ჩაბარდა სხვა დაავადებები, ესპანკა და სხვა რთული დაავადებები გადაიტანა კაცობრიობამ.

თუმცა, ვირუსის დამარცხების შემდეგ, უფრო მძიმე სიტუაცია დადგება, რომელსაც ძლიერი ქვეყნების ერთმანეთთან თანადგომა დასჭირდება. უნდა მოიშალოს საზღვრები, ინტერესები, ჩასაფრება, ვინ უფრო ძლიერი იქნება.

ძლიერებს და სუსტებს რა გამოლევს, მაგრამ ამ მდგომარეობამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნებს, ერთობლივად შეძლონ ეკონომიკური კოლაფსიდან გამოსვლა. ეკონომიკური კოლაფსი გამორიცხული არ არის.

იმედი მაქვს არა მარტო ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, არამედ სხვა ქვეყნების ურთიერთობებიც დალაგდება. მათ შორის, რუსულ-ქართულ, რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებში ახალი ეტაპი დაიწყება. ევროპასა და რუსებს შორის ურთიერთობებიც მოწესრიგდება და გლობალური დათბობა დაიწყება.

– თქვენ თქვით, საზღვრები უნდა მოიშალოსო, მაგრამ დღესდღეობით ყველა ქვეყანას საზღვრები ჩაკეტილი აქვს. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ხორციელდება საჰაერო მიმოსვლა.

– საზღვრები უნდა მოიშალოს კორონავირუსის გაქრობის შემდეგ. როდესაც მთელი მსოფლიო ძალიან სერიოზული ეკონომიკური პრობლემების წინაშე დადგება, ვიღაც ძალიან უგნური უნდა იყოს, საზღვრები ისევ ჩაკეტოს; ვაჭრობაზე, ურთიერთობაზე, ფინანსური და ეკონომიკური ნაკადების გატარებაზე უარი თქვას.

– თუმცა, ისეთი ინტენსიური ველარ იქნება ქვეყნებს შორის ვაჭრობა, რადგან ქვეყნებს თვითონ შიგნით ექნებათ ეკონომიკური პრობლემები.

– ცხადია. მაგრამ სახელმწიფოებმა ერთმანეთს დახმარების ხელი უნდა გაუწოდონ, რადგან კაცობრიობა ისეთი გამოწვევის წინაშე დგას, მისი დაძლევა მარტო ძნელია. კაცობრიობისა და პლანეტის გადარჩენაზეა საუბარი.

ბიძინა ივანიშვილის ქონება მცირდება

რა წერია ბლუმბერგის მილიარდერთა რეიტინგში

კორონავირუსის გამო, სხვა მილიარდერების მსგავსად, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ქონებაც მცირდება.

ბოლო მონაცემების მიხედვით, ქართველი ოლიგარქის ქონება 5.05 მილიარდ დოლარს შეადგენს. ივანიშვილი ბლუმბერგის მილიარდერთა რეიტინგში 321-ე პოზიციაზეა.

კორონავირუსის გავრცელების შემდეგ, ივანიშვილმა პირველი დანაკარგი მარტის დასაწყისსში განიცადა და მისი ქონება 180 მილიონით შემცირდა. მაშინ ბლუმბერგის მონაცემებით, ივანიშვილის ქონება 5.37 მილიარდ დოლარს შეადგენდა, ერთ თვეში კი მისი ქონება 5,05 მილიარდამდე შემცირდა.

ბიძინა ივანიშვილის ქონება 1 თვის განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე დაბალ ნიშნულზეა. კერძოდ, 19-24 მარტის პერიოდში 4.92-4.97 მილიარდ დოლარის ფარგლებშიც კი მერყეობდა.

2013 წლის შემდეგ ივანიშვილის ქონება ასე მცირე ნიშნულზე მხოლოდ 2018 წლის დეკემბერში იყო, როცა 4.97 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული.

მილიარდერების ინდექსის თანახმად, ივანიშვილის ქონება ყველაზე მაღალი 2013 წელს იყო, როცა 6.40 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა.

ბიძინა ივანიშვილი ერთადერთი არ არის, ვისი ქონებაც კორონავირუსის გამო შემცირდა.

„გაღარიბებულ“ მილიარდერებს შორის არის აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპიც. ბოლო მონაცემებით, ტრამპის აქტივების წმინდა ღირებულება ერთ თვეში 1 მილიარდი დოლარით შემცირდა.

დაახლოებით 1 თვის წინ ამერიკის პრეზიდენტის ქონება შეადგენდა 3.1 მილიარდ დოლარს, ახლა კი მხოლოდ 2.1 მილიარდს შეადგენს.

პოლიციამ იმერეთში ქურდული სამყაროს წევრობისა და ქურდულ შეკრებაში მონაწილეობის ბრალდებით 2 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჭიათურაში ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, 2 პირი დააკავეს.

მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებული არიან წარსულში ნასამართლევი პირები: 1973 წელს დაბადებული ჯ.ი. და 1986 წელს დაბადებული გ.წ. მათ ბრალი „ქურდულ შეკრებაში“ მონაწილეობასა და„ქურდული სამყაროს“ წევრობაში ედებათ.

დანაშაული 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 12 მარტს, ჭიათურაში მოაწყვეს „ქურდული შეკრება“ და მანგანუმის მადნის მომპოვებელ ერთ-ერთ შპს-ს წარმომადგენელს აიძულებდნენ საწარმოს მოგების 30%-ის გადახდას.

გამოძიებით, ასევე, დადგინდა, რომ ბრალდებულები ზეწოლის შედეგად მისაღები თანხის ნაწილს კრიმინალური ავტორიტეტებისათვის განაწილებას აპირებდნენ.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, დაკავებულების საცხოვრებელი სახლებიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს მობილური ტელეფონები და კომპიუტერული ტექნიკა, რომელთა მეშვეობითაც ბრალდებულები დანაშაულებრივ კავშირში მყოფ პირებს უკავშირდებოდნენ.

გამოძიება „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „ქურდულ შეკრებაში“ მონაწილეობის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით და 223-ე პრიმა-2 მუხლით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა, ამავე საქმეზე ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ჭიათურის რაიონული სამმართველოს ინსპექტორ-გამომძიებელი დააკავეს.

მ.ბ.-ს ბრალი ედება საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს.

პრეზიდენტმა 9 მსჯავრდებული ქალი შეიწყალა

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ხარების დღესასწაულთან დაკავშირებით შეწყალების აქტი გამოსცა და 9 მსჯავრდებული ქალი შეიწყალა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ყველა მსჯავრდებულს ერთი ან მეტი არასრულწლოვანი შვილი ჰყავს, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულები კი, ძალადობრივ დანაშაულთა კატეგორიას არ განეკუთვნება.

„საწვავი 5-ჯერ გავაიაფეთ და ფასები კიდევ დაბლა წამოვა“

„საწვავი 5-ჯერ გავაიაფეთ და ფასები კიდევ დაბლა წამოვა“ – ამის შესახებ ბიზნესასოციაციის პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ რადიო „პალიტრასა“ და „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „საქმე“ განაცხადა.

– ჩვენი ქვეყანა მეტწილად დამოკიდებულია იმპორტზე, ეს იმას ნიშნავს, რომ როცა შიდა სავალუტო ბაზარზე არის არასტაბილური გარემო, როცა ეროვნული ვალუტა განიცდის დევალვაციას, ეს აისახება ფასწარმოქმნაზე და იმ პროდუქციის ფასზე, რომლის იმპორტიც ხდება. მაგრამ ახლა რამდენიმე კარგი რამ ხდება – ნავთობის ფასები დაეცა და ჩემი კომპანიის მაგალითზე გეტყვით, რომ საწვავი 5-ჯერ გავაიაფეთ და ფასები კიდევ დაბლა წამოვა. ლარის კურსის გაუფასურება რომ არა, ფასები კიდევ უფრო დაეცემოდა.

კარგი რაც მოხდა ამ ვითარებაში, ის იყო, რომ მიუხედავად ლარის კურსის გაუფასურებისა, ნავთობის ფასების ასეთმა მკვეთრმა დაცემამ გამოიწვია, რომ ფასები ზემოთ კი არ წავიდა, ქვემოთ მოდის. მეორე კარგი რაც მოხდა, ისაა, რომ ხელისუფლებამ 9 პროდუქტი შეარჩია, რომელთა ფასის სუბსიდირებაც ხდება. ამაზე პრემიერთან მქონდა საუბარი და მასაც კარგად ესმის, რომ ეს არის არატრადიციული გზა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის. ეს არის მოკლევადიანი ნაბიჯი, რომლის არგადადგმის შემთხვევაშიც, ძალიან მძიმე მდგომარეობა იქნებოდა. ამ შემთხვევაში ეს არის სწორი ნაბიჯი, როცა ლარი ასე დაეცა, ფასების ინდექსაციის გარეშე, ვერ ვფიქრობ, როგორ შეიძლება დაგვეცვა მოსახლეობის ის ფენა, რომელსაც უჭირს, – აღნიშნა ფხაკაძემ.

სასტუმროები ტურისტული სეზონის განახლებას ივნისიდან ვარაუდობენ

სასტუმროების სექტორი ტურისტული სეზონის განახლებას ივნისის თვიდან პროგნოზირებს.

Wyndham Grand Tbilisi-ის ბიზნესის განვითარების ხელმძღვანელის განმარტებით, მაისის ბოლოდან არც ერთი ჯავშანი გაუქმებული არ არის, მეტიც, ახლებია დამატებული.

გიორგი დოლიძის განმარტებით, კრიზისული პერიოდის დაძლევის და ფრენების აღდგენის შემთხვევაში, ტურისტული ნაკადების შემოსვლა ზაფხულიდან ეტაპობრივად განახლდება.

მისივე თქმით, მარტ-აპრილში გაუქმებული ჯავშნების უმრავლესობა აგვისტოსა და სექტემბერზეა გადანაწილებული.

„ბიზნესპარტნიორი“

კახეთის რეგიონის შესასვლელებში საკონტროლო გამშვები პუნქტები მოეწყო

უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ზომების მნიშვნელოვანი გამკაცრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნების აღსრულების მიზნით, კახეთის რეგიონში, კონტროლის არეალი გაფართოვდა და საკონტროლო გამშვები პუნქტები რეგიონის შესასვლელებში მოეწყო.

მაღალი ეპიდემიოლოგიური რისკის გამო, პირთა გადაადგილების კონტროლისა და მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების მიზნით, ადგილზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად 24-საათიან რეჟიმში შეზღუდვების კონტროლს განახორციელებენ და რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვრებზე პირთა გადაადგილებას და საგანგებო მდგომარეობის გამკაცრებული პირობების შესრულებას უზრუნველყოფენ. ასევე, ადგილზე მოხდება მოქალაქეთა პირველადი თერმოსკრინინგი.

ამ დრომდე საკონტროლო გამშვები პუნქტები თელავის ყველა შესასვლელში იყო განთავსებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები მოსახლეობას რეგულარულად განუმარტავენ საკარანტინო შეზღუდვებს და საჭიროების შემთხვევაში მაქსიმალურად დაეხმარებიან.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 167 ფაქტი გამოავლინა

პოლიცია, საქართველოს მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ზომების მნიშვნელოვანი გამკაცრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნების აღსრულების და ე.წ. კომენდანტის საათის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების დამრღვევი პირების გამოვლენის მიზნით, 24-საათიან რეჟიმში მუშაობას განაგრძობს. შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

ბოლო 24 საათის განმავლობაში, სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის და ე.წ. კომენდანტის საათის შეზღუდვების დარღვევის 167 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ, 6 აპრილის 21 საათიდან 7 აპრილის დილის 6 საათამდე, ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის ფაქტზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით 112 მოქალაქე დააჯარიმა.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, საჯარო სივრცეში 3-ზე მეტი პირის შეკრების და 2-მეტრიანი სოციალური დისტანციის დაუცველობის გამო, სულ 28 მოქალაქე დააჯარიმეს

სამართალდამცველებმა მგზავრთა გადაყვანისა და ავტომობილით გადაადგილების წესის დარღვევის ფაქტზე კიდევ 27 პირი დააჯარიმეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაიცვას საგანგებო რეჟიმი და დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 15.000 ლარით.

საგანგებო მდგომარეობის წესების დარღვევის გამო დაჯარიმებულმა პირმა ჯარიმა 30-დღიან ვადაში უნდა გადაიხადოს

საგანგებო მდგომარეობის წესების დარღვევის გამო დაჯარიმებულმა პირმა ჯარიმა 30-დღიან ვადაში უნდა გადაიხადოს.

პირს დაკისრებული ჯარიმის გასაჩივრება საგანგებო მდგომარეობის დასრულებიდან 10 დღის ვადაში შეუძლია.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, ჯარიმის გადახდისთვის დაწესებულია 30 დღიანი ვადა. ამასთან, გასაჩივრება აღნიშნულ ვადას აჩერებს საჩივრის განხილვის დასრულებამდე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის №181 დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საგანგებო მდგომარეობის ვადით ჩერდება კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისა და განხილვის ვადები. შესაბამისად, პირი უფლებამოსილია დაკისრებული ჯარიმა გაასაჩივროს საგანგებო მდგომარეობის დასრულებიდან 10 დღის ვადაში.

ამასთან, საგანგებო მდგომარეობის პერიოდში პირს გასაჩივრება არ ეზღუდება. მთავრობის დადგენილების ზემოაღნიშნული ჩანაწერი პირს არ ართმევს გასაჩივრების უფლებას, არამედ მხოლოდ, უხანგრძლივებს გასაჩივრების კანონით დადგენილ ვადებს. შესაბამისად, პირს შეუძლია დაკისრებული ჯარიმა გაასაჩივროს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში.

რისი უფლება ექნებათ კომპანიის შემოწმებისას ზედამხედველ პირებს

მთავრობა იწყებს საწარმოების შემოწმებას, თუ როგორ ასრულებენ ისინი ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, დღეში 50-მდე სხვადასხვა საწარმო და ბიზნესი შემოწმდება.

მთავრობამ უკვე დაამტკიცა და გამოაქვეყნა მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელების პროცედურების წესები. დოკუმენტში მათ შორის, საუბარია იმაზეც, თუ რისი უფლება ექნებათ ზედამხედველ პირებს საწარმოს შემოწმების პროცესში.

ზედამხედველობის განხორციელებისას ჯგუფის თითოეულ წევრს უფლება აქვს უშუალოდ ან სხვა უფლებამოსილი პირის მეშვეობით განახორციელოს შემდეგი მოქმედებები:

ობიექტზე მოახდინოს სამინისტროს რეკომენდაციების შესრულების შემოწმება როგორც დასაქმებულების, ასევე დამსაქმებლების და მესამე/სხვა პირების მიმართ;

შევიდეს და დაუბრკოლებლად გადაადგილდეს ობიექტის ტერიტორიაზე;

მოითხოვოს და მიიღოს კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტი;

შეისწავლოს სამინისტროს რეკომენდაციებით დადგენილი ნორმების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა და მოახდინოს მასზე რეაგირება;

თუ შესაბამისი სამართალდარღვევა არ საჭიროებს დამატებით შესწავლას, განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე ადგილზე და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდოს ადმინისტრაციული სახდელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ოქმის შემდგენელს ან ზედამხედველი ორგანოს უფლებამოსილ პირს, უფლება აქვს ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, მოახდინოს საჯარიმო ოქმის გადაგზავნა – აღსრულების ეროვნულ ბიუროში დაკისრებული ჯარიმის იძულებით აღსრულების მიზნით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ლუკაშენკო: „კორონავირუსით ინფიცირებულებს მე თვითონ ვუმკურნალებ“

ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო აცხადებს, რომ საჭიროების შემთხვევაში ის თავად მზად არის, უმკურნალოს კორონავირუსით ინფიცირებულებს.

მისივე თქმით, მან ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრი უკვე საქმის კურსში ჩააყენა.

– თუ რამის გაკეთება შემიძლია, უნდა მითხრათ. მე ველაპარაკე მინისტრს, ვუთხარი, თუ საჭიროა, ვლადიმერ სტეფანოვიჩ, მე შენთან ერთად წავალ და ხალხს ვუმკურნალებ. მან მითხრა, რომ ჯერ საჭირო არ არის, – განაცხადა ლუკაშენკომ.

მისივე თქმით, მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რომ პრობლემას „წყნარად და ლამაზად“ გაუმკლავდეს.

– ყველამ თავის საქმეს უნდა მიხედოს პანიკის გარეშე, წყნარად და ლამაზად. ჩვენ ლამაზად უნდა გავიმარჯვოთ, ჩვენ ხალხი ღირსეულად უნდა გადავარჩინოთ. ადამიანმა არ უნდა იფიქროს, რომ ვირუსი აქვს და განწირულია სიკვდილისთვის. ასე არაა, – აღნიშნა ლუკაშენკომ.

7 აპრილისთვის ბელარუსში კორონავირუსი 700 პაციენტს დაუდგინდა. ვირუსს 13 ადამიანი ემსხვერპლა.

ბორის ჯონსონი ინტენსიურ თერაპიაში გადაიყვანეს

ბრიტანეთის პრემიერი ბორის ჯონსონი, რომელსაც კორონავირუსი აქვს, 6 აპრილს საღამოს ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გადაიყვანეს.

ბრიტანეთის პრემიერის პრესსპიკერის ინფორმაციით, ბორის ჯონსონს პნევმონია არ აქვს. მისივე თქმით, მთავრობის მეთაური კარგ განწყობაზეა, თუმცა კვლავაც ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში რჩება.

– მისი მდგომარეობა სტაბილურია და კარგ განწყობაზეა. ის იღებს სტანდარტულ ჟანგბადს და სხვა დახმარება არ ესაჭიროება. მას პნევმონია არ აღენიშნება, – განაცხადეს პრესსამსახურში.

ზელენსკიმ მოსახლეობას აღდგომისთვის შინ დარჩენისაკენ მოუწოდა

უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი ეკლესიების მეთაურებს შეხვდა. მღვდელმთავრებმა მოიწონეს პრეზიდენტის წინადადება, რომ კორონავირუსის გამო მორწმუნეები აღდგომის დღესასწაულზე შინ უნდა დარჩნენ.

– რასაკვირველია, ეკლესიებს არავინ დაკეტავს, მაგრამ მოვუწოდებთ მოსახლეობას, აღდგომაზე იქ არ მივიდნენ. ჩვენი სულიერი მამები უკრაინისათვის ილოცებენ, თქვენ კი შინ დარჩით! – თქვა ზელენსკიმ.

ეკლესიის წარმომადგენლებმა ამას მხარი დაუჭირეს. მათ მოუწოდეს მოსახლეობას, შინ დარჩნენ და იქ ილოცონ.

უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის (მოსკოვის საპატრიარქოსი) პოზიცია განსხვავებულია.

– თუ ღმერთი გწამს, ვერავითარი ვირუსი ვერ მოგერევა! ასე რომ, აღდგომისთვის ეკლესიაში მოსვლისაკენ მოგიწოდებთ, – განაცხადეს მათ.

ფილიპინებში პოლიციამ კარანტინის რეჟიმის დამრღვევი მოკლა

ფილიპინებზე სისხლიანი ტრაგედია მოხდა. პოლიციამ სცადა შეეჩერებინა ნასვამი კაცი, რომელიც კომენდანტის საათის დროს ქუჩაში დასეირნობდა. პასუხად მამაკაცმა პოლიციელებს შეაგინა. პოლიცამ ცეცხლი გაუხსნა. მამაკაცი ადგილზევე გარდაიცვალა.

პრეზიდენტმა დუტერტემ განაცხადა, რომ პოლიციელი სწორად მოიქცა. კარანტინისა და კომენდანტის საათის რეჟიმს ყველა უნდა დაემორჩილოს. მისი დარღვევისას პოლიციას უფლება აქვს, ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენოს. ასევე, ყოვლად დაუშვებელია პოლიციელის შეგინება.

მოქალაქემაც, დუტერტეს აზრით, საკადრისი მიიღო.

დანია დაწყებით სკოლებსა და საბავშვო ბაღებს გახსნის

დანია მომავალ კვირას საბავშვო ბაღებს და დაწყებით სკოლებს გახსნის. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, მეთი ფრედერიქსენის თქმით, სკოლები 11 წლამდე ბავშვებისთვის გაიხსნება, რათა ოჯახებს ტვირთი შეუმსუბუქონ.

მისივე თქმით, ჯერჯერობით დახურული რჩება ბარები, რესტორნები, ეკლესიები, ბიბლიოთეკები და სავაჭრო ცენტრები.

მათი გახსნა 10 მაისისთვის იგეგმება.

დანიაში 7 აპრილისთვის კორონავირუსის 4.500-ზე მეტი დადასტურებული შემთხვევა იყო რეგისტრირებული. გარდაცვლილია 297 ადამიანი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

წყვილმა, რომელიც 35 წელი ლატარიას ერთი და იგივე რიცხვებით თამაშობდა, ჯეკპოტი მოხსნა

ავსტრალიის ქალაქ პერტის გარეუბნის ჰამილტონ-ჰილის მკვიდრმა წყვილმა 35 წლის განმავლობაში მეორეჯერ მოხსნა ლატარიაში ჯეკპოტი ერთი და იგივე რიცხვებით თამაშის წყალობით.

1985 წელს ცოლ-ქმარმა, რომლებიც ამჟამად დაახლოებით 60 წლის არიან, ლატარიაში არცთუ მნიშვნელოვანი პრიზი მოიგეს. მათ ლატარიის ბილეთში საკუთარი დაბადების დღის რიცხვები ჩაწერეს. ამის შემდეგ ოჯახურმა წყვილმა გადაწყვიტა, ერთ დროს ეს რიცხვები მათ ისევ მოუტანდა მოგებას.

მას შემდეგ ისინი რეგულარულად იყენებდნენ რიცხვების იმავე კომბინაციას და შედეგად 28 მარტის გათამაშებაში ჯეკპოტი მოხსნეს. მათმა მოგებამ 2,8 მილიონი ავსტრალიური დოლარი შეადგინა.

უხანში კატები კორონავირუსით მასობრივად ინფიცირდებიან

ჩინეთის ქალაქ უხანში, რომელიც კორონავირუსის გავრცელების კერას წარმოადგენს, კატები კორონავირუსით მასობრივად დაინფიცირდნენ. ეს ყოველივე უხანის ვირუსოლოგიის ინსიტუტის და ხუანჩჟუს სოფლის მეურნეობის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს.

– ჩვენი მონაცემები აჩვენებს, რომ SARS-CoV-2-ით დაინფიცირდა კატების პოპულაცია უხანში, – ნათქვამია კვლევაში. მეცნიერებმა სისხლის ნიმუშები შეისწავლეს, რომელიც 102 კატას კორონავირუსის ინფექციის ეპიდემიის აფეთქების დროს აუღეს, ხოლო 39 უფრო ადრე. როგორც გაირკვა, ვირუსის გავრცელებამდე კატები დაინფიცირებულები არ ყოფილან, მაგრამ ინფექციის აფეთქების შემდეგ 102-დან 15 კატას ვირუსი აღმოაჩნდა.

მეცნიერებმა უხანის ორ ათეულზე მეტ კატას ორგანიზმში კორონავირუსთან მიმართებაში ანტისხეულები აღმოუჩინეს.

– ეს იმას გვიჩვენებს, რომ მსგავსი რამ შესაძლოა დედამიწის სხვა ნაწილებშიც ხდებოდეს, რომლებშიც ეპიდემიაა მოდებული, – აღნიშნეს ექსპერტებმა.

ყაზახმა ბოდიბილდერმა სექს-თოჯინაზე კორონავირუსის გამო ვერ იქორწინა

ყაზახმა ბოდიბილდერმა იური ტოლოჩკომ კორონავირუსის ინფექციის პანდემიის გამო სექს-თოჯინაზე დაქორწინება ვერ მოახერხა.

– მეგობრებო, ქორწილი გადადებულია კარანტინის გამო. მაშინვე, როგორც კი კარანტინი გაუქმდება, რამდენიმე დღეში ქორწილს გადავიხდით. მთლიანობაში განწყობა შემართული და შესანიშნავია, – დაწერა ტოლოჩკომ, რომელიც ამ დროისთვის ტაილანდში იმყოფება.

ქორწილის გადადების თაობაზე ინფორმაცია ინსტაგრამში საპატარძლოს, სექს-თოჯინის, სახელად მარგოს, გვერდზე გამოქვეყნდა.

კარანტინის დამრღვევმა ზღვაში შეცურა, რათა პოლიციელებს გაქცეოდა

მალაიზიის პინანგის პროვინციის მკვიდრმა ზღვაში ჩაყვინთა იმისთვის, რათა თავიდან აეცილებინა კორონავირუსის ინფექციის გავრცელების გამო კარანტინის წესების დარღვევისთვის დაწესებული დაპატიმრება.

პოლიციელებმა აღმოაჩინეს ახალგაზრდების ჯგუფი, რომელიც ქვეყანაში შემოღებულ მკაცრ კარანტინს არღვევდნენ. მათ თავი ჰქონდათ მოყრილი ნავმისადგომთან მდებარე მეთევზეთა სახლში. სამართალდამცავები შეეცადნენ სახლში გაეგზავნათ ერთ-ერთი მათგანი, მაგრამ 20 წლის სამართალდამრღვევი ზღვაში გადახტა, ჩაყვინთა, შემდეგ ნაპირიდან 50 მეტრის მანძილზე გაცურა და უკან დაბრუნებაზე უარი განაცხადა.

პოლიციელებს შეეშინდათ, რომ ახალგაზრდა ზღვაში უფრო შორს შეცურავდა და ამით პოტენციურ საფრთხეში ჩაიყენებდა თავს, ამიტომ მათ მისი დევნა შეწყვიტეს, სამაგიეროდ, მათ გაქცეულის 13 მეგობარი დააპატიმრეს.

ერთ-ერთმა დაკავებულმა განაცხადა, რომ მათ მეგობარს ფსიქოლოგიური დაავადება აქვს. სავარაუდოდ, ის შეშინდა და პოლიციელებს იმიტომ გაექცა. მოგვიანებით ის ნაპირზე დაბრუნდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თხები კორონავირუსის გამო დაცარიელებულ ქალაქს დაეპატრონენ

კორონავირუსის გამო დაცარიელებული უელსის ქალაქი ლანდიდნო თხების ჯოგმა დაიპყრო.

ადგილობრივმა მკვიდრმა ენდრიუ სტიუარტმა პაბის ფანჯრიდან შენიშნა უპატრონო თხები და პოლიციაში დარეკა. ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა ცხოველები გრეიტ ორმის კონცხისკენ გარეკეს, საიდანაც ისინი სავარაუდოდ გაიქცნენ.

სტიუარტის თქმით, მიუხედავად პოლიციის მოქმედებისა, თხები ქალაქის დატოვებას არ აპირებდნენ. მეორე დღეს ცხოველები ისევ გამოჩნდნენ ქალაქის ქუჩებში. ტვიტერში საკუთარ გვერდზე სტიუარტმა იხუმრა, რომ თხები, მიუხედავად სახელმწიფოს აკრძალვისა, ჯგუფებად იკრიბებიან. მის მიერ გადაღებულ ვიდეოზე ასახულია, თუ როგორ დათარეშობენ თხები ქალაქის ქუჩებში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გოგი ქავთარაძე 80 წლის გახდა

რეჟისორი და მსახიობი გოგი ქავთარაძე 80 წლის გახდა. იუბილე მას სოხუმის თეატრმა მიულოცა:

– გოგი ქავთარაძის სახელი სოხუმის თეატრის ოქროს ხანასთან არის დაკავშირებული. 1982-1992 წლებში იგი სოხუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდათ. ამ პერიოდში დადგმული სპექტაკლები თეატრისთვის საეტაპო მნიშვნელობის იყო არა მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ მათი მაღალმხატვრული ღირებულებითაც. მისი ხელმძღვანელობით სოხუმის ქართულმა დასმა გასტროლებით დიდი წარმატებით მოიარა მოსკოვი, პეტერბურგი, მურმანსკი, კიევი, ბალტიისპირეთი, რიგა, ვილნიუსი...

სოხუმის ქართულ თეატრში დადგმული სპექტაკლებია „დიდოსტატის მარჯვენა“, „ბრძოლა ტახტისთვის“, „ბრალდება“, „ერთი ცის ქვეშ“, „აჩრდილები“, „ფსკერზე“, „1832 წელი“, „თოლია“, „მიღების დღე“, „ბურატინო“...

იუბილარ ხელოვანს დადგმული აქვს 90-მდე სპექტაკლი, სპექტაკლებში განსახიერებული აქვს 25 როლი, გადაღებულია 34 ფილმში. ავტორია პიესისა „ბრალდება“ რობერტ სტურუასთან ერთად, მრავალსერიანი ფილმისა „ოქროს ობობა“ დავით კვირცხალიასთან და მიხეილ ანთაძესთან ერთად, კინოსცენარისა „ტკბილი სევდა“.

იგი დღემდე სოხუმის თეატრის ერთგულ მეგობრად რჩება, მისი სახელი კი ყოველთვის სოხუმის თეატრის რენესანსთან იქნება დაკავშირებული. სოხუმში შეხვედრამდე!

გიორგი გასვიანი, მსახიობი:

– 80 წელი შეუსრულდა! მე რომ გავიცანი, 64 წლის იყო. ჩემი მასწავლებელი თეატრალურ უნივერსიტეტში. ნამდვილი ადამიანი! ნამდვილი კაცი და გენიალური არტისტი! ბევრი კარგი როლიც მათამაშა და ერთადაც გვითამაშია სცენაზე! ბევრი რამ გვასწავლა! ნამდვილი პროფესიონალი! მისი ვარსკვლავის გახსნა უნდა ყოფილიყო! ამ ვითარების გამო გადაიდო! გოგი ქავთარაძე 80, ვულოცავ მთელს ქართულ თეატრს!

თავად იუბილარი ხელოვანი კი აცხადებს, რომ ბევრს მსახიობი ჰგონია და მის მიერ განსახიერებული სხვადასხვა პერსონაჟის სახელით მიმართავენ, რაც მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო და საჩუქარია.

გოგი ქავთარაძე თავის ნათლიად გიგა ლორთქიფანიძეს ასახელებს, რომელმაც სრულიად გამოუცდელი 18 წლის ბიჭი თავის სპექტაკლში მთავარ როლზე დაამტკიცა.

გიგა ლორთქიფანიძე, მიხეილ თუმანიშვილი, დოდო ალექსიძე და ვასილ ყუშიტაშვილი – ეს ის რეჟისორები არიან, რომლებსაც აზრს ყოველთვის ეკითხებოდა და რომლებმაც მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშეს.

თეატრისა და სცენის მონატრებას სხვადასხვა თეატრებში სპექტაკლების დადგმით ინაზღაურებს.

რაც შეეხება კინოს, მისი დებიუტი მიხეილ კობახიძის ფილმში „ქორწილი“ ისეთი წარმატებული აღმოჩნდა, რომ ნამუშევარი შედევრად აღიარეს. უფულოდ გადაღებული ფილმის გმირი კი მისი საყვარელი კინოროლია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ.: 599-294-293.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ.: 593-60-60-44; 299-95-33. იკითხეთ ექიმი მერაბი.

როგორ აგორავეს ბურთი ჭყუილად გერმანელებმა და ავსტრიელებმა

ფეხბურთი და სკანდალები განუყოფელი ცნებაა. არ გვინდა იფიქროთ, თითქოს ეს ყველა მატჩში ხდება. უბრალოდ, არის მომენტები, როდესაც მსაჯებისა თუ ფეხბურთელების ამა თუ იმ გადაწყვეტილებას მთელი სამყარო გაუოცებია...

ამჯერად მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატებზე მომხდარ 10 სკანდალურ ფაქტს გავიხსენებთ.

პედანტი კლაივ ტომასი

1978 წელს არგენტინაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე, შვედეთი-ბრაზილიის დაპირისპირებისას კლავი ტომასმა უნიკალური პედანტობა გამოავლინა. მატჩის პირველი ტაიმის დასრულებამდე წამები იყო დარჩენილი, ანგარიში 1:1 გახლდათ და სამხრეთამერიკელები კუთხურს აწვდიდნენ, ზიკომ სტანდარტულიდან გოლიც გაიტანა, მაგრამ... როგორც აღმოჩნდა, ტომასმა საფინალო სასტვენს ბურთის ჰაერში ყოფნისას ჩაბერა, მიიჩნია რა, რომ დამატებული 15 წამი სავსებით საკმარისი იყო. ამ ინციდენტის შემდეგ ფიფამ ტომასი დასაჯა და სახლში გაუშვა, მაგრამ მსაჯი საკუთარ აზრზე მყარად იდგა და რამდენიმე წლის შემდეგ განაცხადა, რომ ზიკომ დარტყმა წამის მეასედებით დააგვიანა.

მარადონა და დოპინგი

1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მარადონას დისკვალიფიკაცია, საბერძნეთთან გატანილი გოლის მომსწრე გულშემატკივარს ნამდვილად არ გაკვირვებია.

მარადონა, რომელსაც კოკაინის მოხმარების გამო 15-თვიანი დისკვალიფიკაცია უკვე მოხდილი ჰქონდა, ნიგერიასთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, კიდევ ერთ სკანდალში გაეხვა. ამჯერად მას სისხლში ეფედრინი აღმოუჩინეს. არგენტინელის თქმით, აღნიშნული პრეპარატი შემთხვევით მიიღო, და ეს ერთ-ერთ მწვრთნელს გადააბრალა, რომელმაც „არასწორი“ ენერგეტიკული სასმელი დაალევინა. ფიფამ მარადონას „ახსნა-განმარტებას“ ყურადღება არ მიაქცია და სახლში გაუშვა.

ფრანგული რევოლუცია

2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფრანგული ფეხბურთის ისტორიაში სამუდამოდ დარჩება. „მამლებისთვის“ ზაფხული ფლორან მალუდას და მთავარი მწვრთნელის, რაიმონდ დომენეკის დაპირისპირებით დაიწყო. სიტუაცია მექსიკასთან მატჩის პირველი ტაიმის შემდეგ გართულდა, როდესაც ნიკოლა ანელკამ დომენეკს ასეთი რამ უთხრა – წადი, შენი დედაც... და მწვრთნელის მშობლის მიმართ სხვა ეპითეტებიც არ დაიშურა.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ ანელკა სამშობლოში გაუშვა, რასაც მისი თანაგუნდელების პროტესტი მოჰყვა. გუნდის კაპიტნის, პატრის ევრას მეთაურობით ისინი ვარჯიშზე არ გამოცხადდნენ, ავტობუსისკენ გაემართნენ და ანელკას გაგდებასთან დაკავშირებული განცხადების შედგენას შეუდგნენ.

ფეხბურთის სკანდალური ფაქტები

რონალდოს საიდუმლო

1998 წელს რონალდოს საოცარი მუნდიალი ჰქონდა – „ფენომენმა“ ფინალამდე 4 გოლი გაიტანა და 3 საგოლე პასი შეასრულა. ბრაზილიელი გულშემატკივრები მას უკვე პელეს გვერდით აყენებდნენ, მაგრამ გადამწყვეტ მატჩამდე 72 წუთით ადრე იგი სასტარტო შემადგენლობიდან „გაქრა“.

ეს ინფორმაცია მთელი მსოფლიოს მასშტაბით ვრცელდებოდა, მაგრამ რონალდო ძირითად შემადგენლობაში ისევ გამოჩნდა, მაგრამ საკუთარ თავს არ ჰგავდა და შეხვედრა საშინლად ჩაატარა. ამით ფრანგებმა იდეალურად ისარგებლეს და 3:0 გაიმარჯვეს. მოგვიანებით გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, რონალდოს შეტევა ჰქონდა, გონება დაკარგა და ზაგალოს მისი მოედანზე გამოყვანა არ უნდოდა, მაგრამ „კიჭამ“ ნაკრების მთავარ მწვრთნელს უთხრა, რომ არაფერი სჭირდა და თამაში შეეძლო.

ჩაწყობილი მატჩი

1978 წლის არგენტინაში ჩატარებულ მუნდიალზე მასპინძელთა მიერ პერუსთან მოპოვებული გამარჯვება (6:0) ჩაწყობილი იყო. ბევრი თვლის, რომ საქმეში არგენტინის მთავრობა ჩაერია და ეროვნულ გუნდს საჭირო სხვაობით მოგება „გაუნაღდა“. არადა, პერუმ წინა 5 შეხვედრაში 6 გოლი გაუშვა, ამიტომ მისმა სუსტმა თამაშმა ქომაგებს შორის ბევრი ეჭვი დაბადა.

არგენტინის მთავრობამ პერუს ქვეყანაში დიდი რაოდენობის მარცვლეულის გაგზავნა, საბანკო ანგარიშებზე ყადაღის მოხსნა, 13 პატიმრის გათავისუფლება და ქრთამი შესთავაზა.

იმ მატჩიდან 42 წელი გავიდა, მაგრამ რეალური სამხილი კვლავ არ არსებობს.

ქუვეითის პროტესტი

ქუვეითის ფედერაციის პრეზიდენტს, ფაჰად ალ-აჰმედ ალ-ჯაბერ ალ საბეჰს 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გოლის გასაუქმებლად ვიდეორეფერი სულაც არ დასჭირვებია. ქუვეითი ჯგუფური ეტაპის მეორე შეხვედრაში საფრანგეთთან 1:3-ს აგებდა, როდესაც ქუვეითელმა ფეხბურთელებმა მსაჯის სასტვენი „გაიგონეს“, თამაში შეწყვიტეს და მე-4 გოლი მიიღეს.

რეალობა კი სხვანაირი აღმოჩნდა – ხმა ტრიბუნებიდან წამოვიდა და ფეხბურთელებმა თამაში სულ ტყუილად შეწყვიტეს. მიუხედავად იმისა, რომ მსაჯი ამ ეპიზოდში სრულიად უდანაშაულო იყო, ალ-საბეჰი ტრიბუნებიდან მოედანზე შევარდა და ფეხბურთელების სტადიონიდან სათითაოდ გაყვანა დაიწყო. უცნაურია, მაგრამ მისმა ტაქტიკამ გაამართლა და მსაჯმა გოლი გააუქმა. საბოლოოდ საფრანგეთმა მე-4 გოლი მაინც გაიტანა, თანაც ისეთი, რომ შეიხს „საპროტესტო აქციისთვის“ აღარ მიუმართავს.

უმსგავსობა ხიხონში

1982 წლის მუნდიალის მე-2 ჯგუფის ბოლო ტურის მატჩი იმდენად ცნობილია, რომ ფეხბურთის ისტორიაში მეტსახელით – უმსგავსობა ხიხონში შევიდა. ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრაში ერთმანეთს დასავლეთ გერმანია და ავსტრია დაუპირისპირდა. ამ 2 ნაკრების მტრობა ცნობილი იყო და თითქოს მატჩი საინტერესო და დაძაბული უნდა გამოსულიყო, მაგრამ ამის ნაცვლად მაყურებელმა ამხანაგური შეხვედრის ხასიათის თამაში იხილა.

გუნდებმა უკვე იცოდნენ, რომ დასავლეთ გერმანიის 1:0 გამარჯვების შემთხვევაში შემდეგ ეტაპზე ორივე მათგანი გადიოდა და რა გასაკვირია, რომ ის მატჩი გერმანელებმა სწორედ ამ ანგარიშით მოიგეს.

ერთადერთი გოლი მე-10 წუთზე გავიდა, დარჩენილი დროის განმავლობაში კი მაყურებელმა არაზუსტი დარტყმები, უკან გაკეთებული პასები და უაზრო შორეული პასები იხილა.

საბოლოო ანგარიშით დაჩაგრულმა ალჟირელებმა საუბარი ჩაწყობაზე დაიწყეს, ადგილობრივმა გაზეთმა კი მატჩის განხილვა კრიმინალის რუბრიკაში გაუშვა.

ჰარალდ შუმახერის უხეშობა

ხიხონის ინციდენტის შემდეგ დასავლეთ გერმანიამ გულშემატკივრების რისხვა ფლეი ოფშიც დაიმსახურა. საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ გამართული ნახევარფინალური მატჩის შემდეგ ფრანგულმა გაზეთმა გამოკითხვა ჩაატარა, სადაც გერმანიის ნაკრების მეკარემ, ჰარალდ შუმახერმა, ადოლფ ჰიტლერს გადაუსწრო და ფრანგი ერის ყველაზე საძულველ ადამიანად იქცა.

შუმახერის ეპიზოდი ფეხბურთის დიდი ხნის გულშემატკივარს დღემდე კარგად ახსოვს. ფრანგების შეტევისას მეკარემ კარი დატოვა, ბურთისთვის ყურადღება არ მიუქცევია და ბატისტონს ისე ძლიერად შეეჯახა, რომ ამ უკანასკნელმა ხერხემლის დაზიანება მიიღო, 2 კბილი დაკარგა და კომაში ჩავარდა.

საინტერესოა, რომ შუმახერს გაფრთხილებაც არ მიუღია! საბოლოოდ გერმანიამ თერმომეტმეტრიანების სერიაში იმარჯვა.

სანტიაგოს ბრძოლა

მსოფლიოს ჩემპიონატებზე ყველაზე უხეშად მონათლული მატჩების სიაში 1966 წლის უნგრეთი-ბრაზილიისა და 2006 წლის ჰოლანდია-პორტუგალიის დაპირისპირებები 1962 წლის სანტიაგოს ბრძოლასთან შედარებით არაფერია.

ჩილესა და იტალიის ნაკრებებს შორის გამართული შეხვედრა ბრძოლა წესების გარეშეს მატჩს ჰგავდა, სადაც მსაჯი კენ ესტონი დაპირისპირების სადავეების კონტროლს ტყუილად ცდილობდა.

ჩილელმა ლეონელ სანჩესმა მარიო დავიდს სახეში მუშტი დაარტყა, შემდეგ კი, ჰუმბერტო მაშიოს ცხვირი გაუტეხა, მაგრამ ყვითელი ბარათიც კი არ მიუღია. მისმა თანაგუნდელმა, ჰონორინო ლანდამ იგივე გააკეთა და გაფრთხილებას ისიც გადაურჩა. აღსანიშნავია, რომ სიტუაციის განსამუხტად პოლიცია მოედანზე 4-ჯერ შევიდა.

იტალიელების ფაშისტური მისალმება

1938 წელს იტალია პირველი ნაკრები გახდა, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის მოგება ზედიზედ 2-ჯერ მოახერხა, მაგრამ საფრანგეთის ნაკრებთან დაპირისპირებისას განხორციელებულმა ქცევამ ყველაფერი გადაფარა.

მატჩის წინ ნაკრებები დავობდნენ, თუ რომელი გუნდი უნდა გამოსულიყო ტრადიციული ლურჯი ფორმით. საბოლოოდ ალტერნატიული მაისურის ჩაცმა ვიტორიო პოცოს გუნდს მოუწია.

ამ ფაქტმა იტალიელები გააღიზიანა და იმის ნაცვლად, რომ თეთრი ფორმებით გასულიყვნენ მოედანზე, შავი შორტებით და ზედებით გამოცხადნენ, ამასთან არც ფაშისტური ემბლემის გაკეთება დავიწყებიათ.

ამ ჟესტით მათ პატივისცემა და მხარდაჭერა მუსოლინის რეჟიმის მიმართ გამოხატეს და მატჩის წინ გულშემატკივრებს და მოწინააღმდეგეებს ფაშისტური მისალმებით შეხვდნენ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ამერიკა რუსეთისა და ყატარის მუნდიალების საქმის ძიებას აგრძელებს

მოარულ ხმებს, რომ რუსეთმა და ყატარმა მსოფლიოს ჩემპიონატების მასპინძლობა იყიდეს, მსვლელობა მიეცა. აშშ-ში ფიფას ყოფილ ფუნქციონერებს ამ 2 ქვეყნისთვის მხარდაჭერასა და ქრთამის აღებაში ადანაშაულებენ და ბრალიც წარუდგინეს.

დავიწყოთ ჯერ უორნერით, რომელიც ფიფას ყოფილი ვიცე-პრეზიდენტია: ბრალდების თანახმად უორნერმა 2018 წელს რუსეთისთვის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის მხარდაჭერის სანაცვლოდ 5 მილიონი დოლარი აიღო. ეს ბრალდება აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს მრავალწლიანი საქმიანობის შედეგია, რომელიც საერთაშორისო ფეხბურთის მაღალჩინოსანთა შორის კორუფციას იკვლევს.

უორნერის გარდა, ნიუ იორკის აღმოსავლეთ ოლქის სასამართლომ ბრალდება 7 საფეხბურთო ფუნქციონერს წარუდგინა. გამოძიებით დადგინდა, რომ მათ რუსეთისა და ყატარისგან ქრთამის სახით გარკვეული თანხები მიიღეს (ან უნდა მიეღოთ).

პროკურორების განცხადებით, 2010 წლის პირველ ნოემბერს ფიფას მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტის, ჯეკ უორნერის მეილზე ასეთი წერილი მივიდა: გთხოვთ, მას აცნობოთ რაიმე, რაზეც ჩვენ უკვე მოვილაპარაკეთ. ამ კვირაში ყველაფერი შესრულდება.

ამ დღიდან რამდენიმე თვის განმავლობაში უორნერმა ანგარიშზე ჯამში 5 მილიონ დოლარამდე მიიღო. კვალი რომ დაფარულიყო, ფულმა 10 ოფშორული ფირმა გამოიარა, რომლებიც კვიპროსსა და ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულებზე იყო გახსნილი და ტრინიდადისა და ტობაგოს გავლით ამერიკაში გახსნილ 30 ანგარიშზე მოიყარა.

პროკურორები ამტკიცებენ, უორნერს თანხებს უგზავნიდნენ ის კომპანიები, რომელთაც რუსეთის კანდიდატურის მხარდაჭერის სანაცვლოდ, 2018 წლის მუნდიალზე კონტრაქტები მიიღეს.

უორნერი ტრინიდადისა და ტობაგოს მოქალაქეა, აშშ ჯერ კიდევ ითხოვს მის ექსტრადიციას.

ბრალდებაში ასევე ნათქვამია, რომ მაშინდელი ფიფას აღმასკომის წევრს, გვატემალელ რაფაელ სალგიერის მილიონ დოლარს რუსეთის სასარგებლოდ ხმის მიცემის სანაცვლოდ შეპირდნენ. სალგიერომ დიდი ხანია აღიარა კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობა, ის ფეხბურთიდან სამუდამოდ არის ჩამოშორებული.

ყატარის სასარგებლოდ ხმის მიცემის სანაცვლოდ ქრთამი აიღეს: ნიკოლას ლეოსმა (კონმებოლის ყოფილი პრეზიდენტი) და რიკარდო ტეშეირამ (ბრაზილია). ლეოსი შარშან მშობლიურ პარაგვაიში გარდაიცვალა, ის შინა პატიმრობაში იყო და აშშ-ში ექსტრადიციას ელოდა. ტეშეირა ფეხბურთს სამუდამოდ ჩამოაშორეს.

რა თქმა უნდა, რუსეთი უარყოფს კორუფციაში მონაწილეობას და აცხადებს, რომ აბსოლუტურად სამართლიანად მიიღო მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვის უფლება.

პრინციპში, აწი მნიშვნელობაც არ აქვს, რას იტყვის რუსეთი, რადგან უკვე ჩაატარა მუნდიალი. აი, ყატარს კი, ჯერ კიდევ ყველაფერი წინ აქვს.

როგორც ცნობილია, 2019 წლის ივნისში უეფას ყოფილი პრეზიდენტი მიშელ პლატინი დააკავეს. შესაძლოა, 2010 წლის მოვლენებზე, ფიფაში შიდა გამოძიებაც ჩატარდეს. ეს ის წელია, როცა რუსეთმა და ყატარმა მუნდიალის მასპინძლობა „იყიდეს“.

სწორედ 2010 წელს მიენიჭა ამ 2 ქვეყანას 2018 და 2022 წლის მუნდიალების მასპინძლობა. ხმები, რომ ამ ქვეყნებმა კორუფციის წყალობით გაიმარჯვეს, მაშინვე გაისმა.

აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ძიება 2015 წელს დაიწყო. სკანდალმა ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერისა და უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინის გადადგომები გამოიწვია. მაშინ ბრალი სულ 42 ადამიანს წარუდგინეს, რომელთაგანაც 26-მა დანაშაული აღიარა.

2018 წლის მუნდიალისთვის რუსეთმა მეორე რაუნდში 13 ხმით მოიგო, მე-2 ადგილზე პორტუგალიისა და ესპანეთის ერთობლივი განაცხადი გავიდა, მესამეზე – ბელგია/ჰოლანდიის. ინგლისი ბრძოლას პირველ რაუნდში გამოეთიშა.

2022 წლის მუნდიალისთვის ბრძოლაში ყატარმა 14 ხმა მიიღო მე-4 რაუნდში, რომელშიც აშშ-ს (8 ხმა) აჯობა. მანამდე ბრძოლას ავსტრალია, იაპონია და სამხრეთ კორეა გამოეთიშნენ.

ბაბანგიდა: „აფრიკელები მხოლოდ ფულისთვის ვთამაშობთ“

აფრიკული ფეხბურთის წარმატება მსოფლიოს ჩემპიონატებზე მაქსიმუმ მეოთხედფინალია. არადა, კონტინენტიდან ყოველთვის მოდის ალმასები, მაგრამ საერთო ჯამში ყოველთვის რაღაც აკლდებათ.

სწორედ ამ დაკლებაზე ისაუბრა ნიგერიის ეროვნული ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, ტიჯანი ბაბანგიდამ და აფრიკელი ფეხბურთელების პრობლემებზე ახსნა.

ტიჯანი ბაბანგიდა:

– ვფიქრობ, ყველაფერი მენტალიტეტს უკავშირდება. აფრიკელთა უმრავლესობა როცა ფულს შოულობს, ამით კმაყოფილდება. შეხედეთ რონალდუს, როგორ თამაშობს 35 წლის ასაკში. ის რომ აფრიკელი იყოს, კარიერას დიდი ხნის წინ დაასრულებდა. ფეხბურთში რეკორდები რომ დაამყარო და კვალი კარიერის დასრულების შემდეგაც დატოვო, ამისთვის თამაშია საჭირო. აფრიკელები კი ამაზე ორიენტირებულები არ არიან, რადგან ჩვენ ფულისთვის ვთამაშობთ. როცა გარკვეულ თანხას მივიღებთ, გვგონია, რომ ყველაფერს მივაღწიეთ.

ჩვენი ტალანტების უმეტესობა სიღარიბეში გაიზარდა, ამიტომ, როცა მათ დიდ და სარფიან კონტრაქტებს სთავაზობენ, მოტივაცია კვდება. ეს ძალიან სამწუხაროა, მაგრამ – რეალობა.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ყავის მარცვლებსა და ჩაის ფოთლებში არსებული ალკალოიდი; 2. ისრაელის პარლამენტი; 3. საღებავი ნივთიერება, რომელიც ფერს აძლევს ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილებს; 4. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 5. იტალიელი მოდელიორი; 9. ანსამბლ „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 8. ტკბილი, არომატული სპირტიანი სასმელი; 12. მკვეთრ კონტრასტებზე დამყარებული მხატვრული ხერხი ლიტერატურასა და ხელოვნებაში; 13. სამართლებრივი მდგომარეობა; 16. სოხუმის აეროპორტი; 17. შოტლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 19. დენის ძალის საზომი ერთეული; 20. საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი.

თარაზულად: 6. საცხენოსნო შეჯიბრების ხელმძღვანელი; 7. ჩრდილო აფრიკაში მცხოვრები არაბების ძველი სახელწოდება; 8. აზიისა და აფრიკის ტროპიკებში გავრცელებული ნახევარმაიმუნი; 10. კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ორგანიზაციის კინოპრიზი; 11. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 14. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა; 15. ფართოფარფლებიანი ესპანური ქუდი; 18. ცირკის არენა; 21. ძვირფასი ლითონების წონის ერთეული ძველად საქართველოში; 22. მდინარე, ხეობა აფხაზეთში; 23. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 24. ქართული ლუდი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. „სტელსი“; 2. ჩხუტი; 3. რომი; 5. ლეგატი; 6. სეული; 7. ლუქსორი; 11. სქოლიო; 13. აპენინი; 14. კამიუ; 15. შჩეცინი; 16. რელიქტი; 17. სელაპი; 19. არენა; 20. ფიფა.

თარაზულად: 1. საჩხერე; 4. ტაბლა; 8. მაუდი; 9. გურუ; 10. ლოტოსი; 12. ქსილიტი; 14. კილი; 15. შიმპანზე; 16. რემბო; 18. ციცქა; 21. ლაციო; 22. ტელეფერი; 23. ნეპტუნი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჰუდზონი; 2. ლაკმუსი; 3. კინეტიკა; 4. დოფინი; 5. ჰერმესი; 8. ღირსება; 9. დეპუტატი; 12. მჭედლიძე; 13. „მიუსერა“; 16. ვიბრაცია; 17. წაღვერი; 19. „სპარტა“; 20. დიდუბე.

თარაზულად: 6. ფუქსავატი; 7. ბოკვერი; 8. ღვენთი; 10. ბოდრუმი; 11. „პელე“; 14. ფრანკები; 15. დეპრესია; 18. მიქლიო; 21. პარმაღი; 22. დიჯეი; 23. არეუნა; 24. ლაფონტენი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

8 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1740

ევრო — 3.4295

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.9017

100 რუსული რუბლი — 4.1547

ამინდის პროგნოზი 8 აპრილისთვის

გრიბოედოვის თეატრი ქველმოქმედებაში ჩაება

გრიბოედოვის თეატრი ქველმოქმედებაში ჩაება. მისი ორი მსახიობი ლაშა გურგენიძე და ნინა კალატოზიშვილი გაჭირვებულ ადამიანებს პროდუქტებს აწვდიან:

– სიკეთის კეთების დროა: გრიბოედოვის თეატრის მსახიობებო, მადლობა!

ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა და კარანტინია გამოცხადებული, ასევე კომენდანტის საათი. ამ ეტაპზე 39 გამოჯანმრთელებული ადამიანი გვყავს, თუმცა სახელმწიფო მოუწოდებს განსაკუთრებით ასაკოვან ადამიანებს, 70 წელს გადაცილებულებს, დარჩნენ სახლში და იყვნენ თვითიზოლაციაში. თბილისის მერიის და წითელი ჯვრის სამსახური უპრეცენდენტო აქციას აწყობენ და ქვეყნის მასშტაბით ასაკოვან, პენსიონერ და შეჭირვებულ მოქალაქეებს პროდუქტს და ჰიგიენურ საშუალებებს სახლში აწვდიან.

მათ ამ სიკეთის კეთებაში მოხალისეები ეხმარებიან, სწორედ ამ მოხალისეთა სიაში არიან ჩვენი თეატრის მსახიობები: ლაშა გურგენიძე და ნინა კალატოზიშვილი. ლაშას დღევანდელ სიაში 96 მისამართი აქვს, სადაც, უნდა მიიტანოს პროდუქტი და ჰიგიენური საშუალებები.

დღეს ლაშას და ნინას გრიბოედოვის თეატრის სხვა მსახიობებიც შეუერთდებიან, – ნათქვამია გრიბოედოვის თეატრის სპეციალურ განცხადებაში.

გაუხსნიან თუ არა კოტე თოლორდავას მემორიალურ დაფას?

მსახიობს კოტე თოლორდავას ქვრივი განო მელითაური 34 წლსი ასაკში გარდაცვლილი ხელოვანის მე-5 წლისთავზე კვლავაც თხოვნით მიმართავს თბილისის მერიას, შეასრულოს დაპირება და კოტეს საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფა განათავსოს:

– აქ ვცხოვრობდა ნიჭის, ადამიანობის და სიყვარულის ვეებერთელა გული – სახელად კოტე თოლორდავა!

თავის დროზე, 2015-ში, ქალაქის მერი დამპირდა, რომ აქ მისი მემორიალური დაფა იქნებოდა!

წლიდან წლამდე ვიღებდით ამ დანაპირებს! დავრბოდი საბუთებით, მსახიობების, მეგობრების და საზოგადო მოღვაწეების ხელმოწერებით... წინ და უკან..

ბოლოს, კოტეს დედის გარდაცვალებამდე უკანასკნელად ვითხოვე, მოგვესწრო, ვინაიდან ეს მისი უკანასკნელი სურვილი იყო...

...და აჰა... 5 წელიც გავიდა.

იმედია, 13 მაისამდე, კოტეს დაბადების დღემდე მის საყვარელ სახლთან, ყველასთვის საყვარელი ბიჭის სახელს და გვარს ამოვიკითხავთ!

თბილისის მერია – მოტანილია ყველაფერი, ფოტომონტაჟის ჩათვლით...

ამ სახლში ცხოვრობდა კოტე თოლორდავა – ქართული თეატრის და კინოს გამორჩეული არტისტი, საქართველოს, ამერიკის, უკრაინის, პოლონეთის, გერმანიის არაერთი საერთაშორისო პრიზის მფლობელი ტიტულით – საუკეთესო მსახიობი მამაკაცი!

არ მეგულება ქართველი, ვისაც ეს ამბავი ჩვენსავით არ გაახარებს! ამიტომ მაქვს უდიდესი იმედი, რომ მის პატივსაცემად ერთ პაწაწინა მემორიალს გაიმეტებს ქვეყანა, რომელსაც გულის ჯიბით ატარებდა 34 წელიწადი!

ასტროპროგნოზი

8 აპრილისთვის

ვერძი – საქმეში ხელს უყურადღებობა და დაუდევრობა გიშლით. ერიდეთ ქარაფშუტა და ზარმაც ადამიანებთან ურთიერთობას. **კურო** – ნუ აჩქარდებით. გულმოდგინედ გააანალიზეთ თითოეული ნაბიჯი. ილუზიებს არ აჰყვეთ. **ტყუპები** – კომერციული საქმიანობისათვის, ცოდნის არეალის გასაფართოებლად მშვენიერი დღეა. არ იზარმაცოთ. **კირჩხიბი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. პირად ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე გაქვთ. **ლომი** – ნებისმიერი კოლექტიური საქმიანობა თქვენგან სიფრთხილესა და წინდახედულობას მოითხოვს. მოსალოდნელია კონფლიქტი უფროსობასთან. **ქალწული** – საქმიან პარტნიორთან ურთიერთობა გაფორიაქებთ. ერიდეთ გაუთვალისწინებელ ხარჯებს. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა ადრე დაწყებული საქმის დასამთავრებლად. ახლობლებთან ურთიერთობა ჰარმონიულია. **ღრიანკალი** – დღის პირველ ნახევარში ყურადღების ცენტრში ხართ. თავმოყვარეობას გაუფრთხილდით. **მშვილდოსანი** – მეგობრების გონივრული რჩევები გაითვალისწინეთ. ეცადეთ, საქმე აუჩქარებლად აკეთოთ. **თხის რქა** – სამსახურში ხელმძღვანელობის მხრიდან დაბრკოლებები შეგხვდებათ. ჯანმრთელობას მიხედეთ და, საჭიროების შემთხვევაში, ექიმთან ვიზიტი არ დააყოვნოთ. **მერწყული** – დაძაბული დღეა. ხმაურიან საზოგადოებაში გამოჩენას ერიდეთ. გეგმები გეცვლებათ. **თევზები** – მშვიდი დღეა. საქმეში ხელს არავინ გიშლით. საღამოს დაისვენეთ და გაერთეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ოფისში დამლაგებელი დაწესებულების თანამშრომლებს ეკითხება:

– ვინ იცის კომპიუტერით სარგებლობა?

თანხმობის ნიშნად ყველამ თავი დაუქნია.

– ჰოდა, მაშინ მიუსხედით კომპიუტერებს, შედით ინტერნეტში და მოძებნეთ ის საიტები, რომლებშიც ტუალეტით სარგებლობას გასწავლიან!

•••

ფსიქოლოგი ოპტიმისტს ტესტს უტარებს. ფსიქოლოგი:

– თქვენ ბაბუა დაგეღუპათ.

– მეორეც მყავს.

– გასვენებაში აგვიანებთ.

– მანქანის საჭეს მივუჯდები და გავაქროლებ.

– არა, სწრაფად სიარულის გეშინია.

– გასამხნევებლად 100 გრამს გადავკრავ.

– გზაში პატრული გაგაჩერებთ.

– როგორმე შევთანხმდებით.

– ვერ შეთანხმდებით, პატრული ქალია.

– გავიცნობ.

– ჰო, მაგრამ საშინელი შესახედაობისაა.

– ჰო, მაგრამ მე უკვე მთვრალი ვარ!

•••

დაწესებულების თანამშრომელი დირექტორს ეუბნება:

– ბატონო დირექტორო, ნებას მომცემთ, დღეს სამსახურიდან ადრე წავიდე? ცოლს მაღაზიებში უნდა გავყვე საყიდლებზე.

– არავითარ შემთხვევაში! დაჯექით და იმუშავეთ!

– უღრმესი მადლობა, ბატონო დირექტორო!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რობერტო ფირმინო: „მინდა, ყველა დაინფიცირებულს დავეხმარო“

ლივერპულის ბრაზილიელმა ფორვარდმა რობერტო ფირმინომ განაცხადა, რომ ის მზად არის, ყველა იმ ადამიანს დაეხმაროს, ვინც კორონავირუსით დაინფიცირდა.

ფირმინოს თქმით, არა აქვს მნიშვნელობა, ეს ფინანსური დახმარება იქნება, თუ ემოციური, ის ყველაფრისთვის მზად არის:

– როდესაც ვხედავ, გარშემო რაც ხდება, მინდა, რომ ყველა ადამიანს დახმარების ხელი გავუწოდო. ვიცი, რომ ეს შეუძლებელია, მაგრამ მე აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში. ემოციური და ფინანსური დახმარება ორივე ძალიან მნიშვნელოვანია.

სტივენ ჯერარდი: „ფეხბურთელების ხელფასების შემცირება აუცილებელია“

ლივერპულის ლეგენდამ და გლაზგო რეინჯერსის მთავარმა მწვრთნელმა სტივენ ჯერარდმა განაცხადა, რომ ამჟამინდელ მდგომარეობაში აუცილებელია, რომ ფეხბურთელებს ხელფასები შეუმცირდეთ და ეს თანხები კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდებში გადაირიცხოს:

– ყველას უნდა ესმოდეს, რომ ვირუსს ერთობლივი ძალებით უნდა ვებრძოლოთ და მსხვერპლიც გავიღოთ. ამ შემთხვევაში მართებულად მიმაჩნია, რომ ფეხბურთელებს ხელფასები შეუმცირდეთ. ამის გამო სკანდალის მოწყობა საჭირო არ არის, თუ ეს ასე მოხდა.

ბაიერნმა ვარჯიში განაახლა

სამკვირიანი კარანტინის შემდეგ მიუნხენის ბაიერნმა ვარჯიში განაახლა და ფეხბურთელებმა დაყოფილ ჯგუფებად ივარჯიშეს.

ამის შესახებ ბაიერნის მეკარემ მანუელ ნოიერმა ისაუბრა და თქვა, რომ მას უხარია ვარჯიშების განახლება, თუმცა ესმის, რომ მოედანზე ის კიდევ დიდხანს ვერ გამოვა:

– ვიცი, რომ ფეხბურთი ჯერჯერობით არ დაბრუნდება და ამას შეგუებული ვარ, თუმცა ვარჯიშის განახლება მაინც სასიამოვნოა, რადგან თანაგუნდელები რამდენიმე კვირა არ მინახავს.

მილანს დავიდ სილვას შეძენა სურს

მანჩესტერ სიტის ესპანელი ნახევარმცველი დავიდ სილვა სეზონის ბოლოს გუნდს დატოვებს და მისი თავის რიგებში ხილვა უკვე რამდენიმე კლუბს სურს.

ერთ-ერთი მათგანი მილანია, რომელსაც სილვას შეძენა ადრეც სურდა, მაგრამ მაშინ სიტიმ მის გაყიდვაზე უარი თქვა, ახლა კი ეს წინააღმდეგობა აღარ არსებობს და ბევრი რამ თვითონ სილვაზე იქნება დამოკიდებული.

ჯერჯერობით მას არ უთქვამს, სად სურს კარიერის გაგრძელება. შესაძლოა, ის ესპანეთში დაბრუნდეს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

პრემიერლიგის შეჩერებით ყველაზე მეტს იუნაიტედი დაკარგავს

ბრიტანელმა ჟურნალისტებმა გამოითვალეს და მიიღეს ჯამი, თუ რა თანხებს დაკარგავენ კლუბები, თუ პრემიერლიგა არ განახლდება.

ყველაზე დიდ დანაკლისს მანჩესტერ იუნაიტედი მიიღებს და ეს თანხა 116,4 მილიონი გირვანქა სტერლინგი იქნება. იუნაიტედს სეზონის მანძილზე ტელევიზიებიდან 38 მილიონი უნდა აეღო, რეკლამიდან 50.8 მილიონი, ხოლო მატჩების ჩატარებით – 17.6.

მე-2 ადგილზეა კიდევ ერთი მანჩესტერული გუნდი – სიტი, რომლის დანაკარგი 109.3 (53.5; 41.7; 13.9) მილიონი გირვანქა იქნება.

მე-3 ადგილზე ლივერპული – 102.6 (55.2; 33.8; 13.6) მილიონი;

შემდეგ მოდიან ლონდონური გუნდები: ჩელსი – 91 (49.3; 30.9; 10.9) მილიონი, ტოტენჰემი – 83 (41,9; 24.3; 16,8) და არსენალი – 74,8 (40; 19.4; 15,4).

სულ კი, პრემიერლიგის კლუბები კრიზისის გამო 1,137 მილიარდ გირვანქას დაკარგავენ. სწორედ ამიტომ თხოვენ ფეხბურთელებს ხელფასის 30%-ით შემცირებას.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ნიკა ქავთარაძეს წყევლიან

იუმორისტსა და მსახიობს ნიკა ქავთარაძეს წყევლიან:

– როგორც არ უნდა მლანძღოთ, ან მწყევლოთ, ჩემთვის თქვენი და ჩემი თავისუფლება არის მთავარი ღირებულება. სულ ყველასი, რა პარტიაში, რა რელიგიაში, რა ქალაქში, რა უბანში, რა თანამდებობაზეც, რა ასაკში და რა ხასიათზეც უნდა იყოთ.

ამიტომ ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს დაგიმტკიცოთ.

მეც მთელი ცხოვრება ვებრძვი საკუთარ თავში მონას, კონფორმისტს, ფეხებზე მკიდია კაცს. ეს მუდმივი პროცესია და არაფრით არ ვარ არავიზე მეტი.

უბრალოდ მთავარი, რასაც ყოველდღე ვხვდები, ისაა, რომ ჩვენი თავისუფლების ფასად, ხელისუფლებები უაზროდ დიდ ძალაუფლებას იღებენ. დაუმსახურებლად დიდს.

ხოდა, ჩვენ არ ვართ პარტიები, ჩვენ ვართ ხალხი, ამ ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც ბევრად მეტი უნდა გვქონდეს ერთმანეთთან საერთო, ვიდრე რომელიმე მთავრობასთან.

ამიტომ, როცა მაქებთ ან მლანძღავთ, ამას მიშვებით მე – ერთ-ერთ თქვენგანს. თქვენს ყველაზე ახლობელ ადამიანს. მადლობა და მიყვარხართ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ტაივანის დედაქალაქი; 2. ხელოვნური სარწყავი არხების სახელწოდება შუა აზიაში; 3. ისტორიული ციხე-სიმაგრე ზუგდიდის მახლობლად; 5. ებრაელთა სასულიერო პირი; 4. სრული უწესრიგობა; 7. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 11. ქალაქი საფრანგეთში, სადაც ტარდებოდა მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 13. გემთმშენებლობის ცენტრი პოლონეთში; 14. დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის ხელშეკრულება; 15. ქართული ლუდი; 16. სამკურნალო დაწესებულება; 17. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 19. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული ოქროსფერი კუზიანი კურდღელი; 20. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა.

თარაზულად: 1. ძვირფასბეწვიან ცხოველებზე მონადირე პროფესიონალი ჩრდილო ამერიკაში; 4. ლუთერანული ეკლესია; 8. დიდი სიცხე; 9. რძის პროდუქტი; 10. ლიტერატურული პრემია ბრიტანეთში; 12. ბუდიზმის დამაარსებელი; 14. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 15. მაიმუნის ძველი ქართული სახელწოდება; 16. ერთგვარი ნამცხვარი; 18. უდაბნო აფრიკაში; 21. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 22. სპირტიანი სასმელი, კონიაკშერეული თეთრი ღვინო, რომელშიც ახალი ხილია ჩათლილი; 23. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა